ქკს, რყგ: დიდის მონასტრისა გენათისა წინამძღვარი მანასე მიიცვალა:

ქკს, რყზ: აიღო გორი ალექსანდრე, ქემან ბაგრატიანსა, თვესა აგვისტოსა, ვ<sup>2)</sup>:

ამასვე წელსა ქუთათისს თათარნი მოვიდეს, და დაწვეს დიდი მონასტერი გენათისა შიგნით და გარეთ, და ქუთათისი, და საყდარი, და სხვანი ეკლესიანი: და სხვანი<sup>3)</sup> ვერა აიღეს, და აურაცხელნი ტყვენი წარასხეს ქრისტეანენი, თვე იყო ნოემბერი: გგ:

ქკს. რყგ<sup>4)</sup>: მარტს, იბ: მიიცვალა დედოფალი თამარ, ანტიქს ერთს:

ამასვე წელსა მეუფთ მეუფე ალექსანდრე მიიცვალა:

ამასვე წელსა დაჟდა მეუფედ იმერეთს ქე მისი ბაგრატ:

ამასვე წელსა იქმნა ბრძოლა ძლიერი ქართლის მეფეს დავითსა და ბაგრატს შუა: ამისთვის ბევრის ტყვევნისაგან და რბევისა ძალი<sup>5)</sup> ქართლისა შემცირებულყოფა: აღეღო და დაეჭირა გორი ალექსანდრეს, მამასა ბაგრატისსა: ამას ზედა მოკეპარნენ ქართლის მეფეს დავითს კახეთის მეუფე ვახტანგ და ათაბაგი მზე ჭაბუკ: დავით მეუფე ვედარ მოესწრა, მოხისს შეება ბაგრატ ვახტანგსა და მზე ჭაბუკს: და გაემარჯვა თვესა ივნისს, გ:

ამასვე წელსა მიიცვალა ბატონი დედოფალი ელენე, დედა ალექსანდრისი, ნოემბერს, გ:

ამასვე წელიწადსა აღესრულა კახთა მეუფე ვახტანგ, და დაჟდა მის წილ კახეთს ძმა მისი ალექსანდრე: ესე ალექსანდრე იყო კაცი კეთილი, და ღწის მოყვარე, დიდად შემწე წათა ეკლესიათა, შემამკობელი ხატთა და და ჯფართა, ამან ალექსანდრემ და დედამა მათმან ბაგრატიონმა დედოფალმან ნესტანდარეჯან დაქცეული და

552

<sup>1)</sup> ბარ—ში: ნესტანჯან.

<sup>2)</sup> ქარ. ცხ—ში: კ.

<sup>3)</sup> ბარ—ში და ქარ. ცხ—ში (ტომი II, გვ. 266): ციხე.

<sup>4)</sup> ბარ—ში და ქარ. ცხ—შა: რყტ.

<sup>5)</sup> ეს სიტყვა არ არის ქარ. ცხ—ში.

დაძველებული აღუშენა ალავერდსა სამკრენი და გუმბათნი, და დას-  
ხატეინა, და შეამეო ჯვართა და ხატითა, წიგნითა და ეკლესიის  
შესამკობელითა: და შდ ამისა უოველნივე საეპისკოპოსო ეკლესიანი  
კახეთისანი შეამკვნა: და შესწირნა უოველნივე საეკლესიო სამკაულ-  
ნი, და ესვა ძენი ორნი, უხუცესსა ეწოდა გიორგი, და უმრწამეს-  
სა ეწოდა დიმიტრი:

ამა გიორგიმ დაიწყო ბრძოლა ქართლსა ზედა, რ დაპურობა  
უნდოდა ქართლისა: ხ მამა მისი აღექსანდრე, და ძმა მისი დი-  
მიტრი ევედრებოდა, რ ძმანი არიან<sup>1)</sup> და არა ჯვარას შენგან ცი-  
ლობა და დაპურობა ქართლისა: კმა არს შენთჲს კახეთიცა, და არა  
მისცეს თავი კელთა, და გარდაუდგენ წინა საფურცელს: ამას ზე-  
და აღივსო შურითა გ-მ, და დალატით მოკლა მამა თ-სი აღექ-  
სანდრე<sup>2)</sup>, და დამარხეს კახთა მეფეთა სსსათელასა ალავერდს  
შ-ა, შიგნით საუდარსა, უკანა ეკვდრესა შ-ა: და შერმე შეიპურა  
ძმა თჲსი დიმიტრი, და დასთხარა თვალები:

მაშინ იყო ქ-ნი, რეთ: და შერმე ცოლითა და შვილით გა-  
მოაკლო დიმიტრი, და მოვიდა მცხეთას და სვეტს ცხოველს შემო-  
ეხგეწა, და დაუო<sup>3)</sup> რაგდენიმე ხანი: ამის მოქმედებისათჲს, ავ-გი-  
ორგი უწოდეს: ხ რა-ჲს მოკლა გიორგიმ მამა თჲსი აღექსანდრე,  
მაშინ თვით დაიპურა კახეთი: და მეფობდა ქართლსა ზედა მეფე  
დავით, კაცი მშვიდობის მეოთველი, და სათნო ღ-ისა:

ხოლო მეფეს დავითს ჰეგანდა ძმა<sup>4)</sup> გიორგი, ბაგრატ და  
აღექსანდრე, და მეღქისედეკ მონახონი: და მას ჟამსა იჯდა კ-ზი  
დორეთოს: ხ აღიღო შური მახვილითა ავ-გიორგიმ მეფესა და-  
ვითს<sup>4)</sup> ზედა, და ქმნა მრავალი ბრ-ტი საქართველოსა ზ-ა: ხ  
ეკრძალებოდა სისხლსა ავ-გიორგისასა მეფე დავით, და სძანი მის-  
ნი უოველნივე: და ამას ზ-ა უფროსდა განლადა ავ-გიორგი, და  
უკლებოდა საქართველოსა, და მრავალგზის ავარ ჰყო საქართველო,  
და უფროსდა ზემო ქართლი მრავალ გზის წარმოსტეკენა, ვიდრე

<sup>1)</sup> ქარ. ცხ—ში: არნ.

<sup>2)</sup> ბარ. უმიტებს: საფურცელს ჩალისა შინი. აღიღეს.

<sup>3)</sup> ქარ. ცხ—ში: იყო:

<sup>4)</sup> ეს სიტყვა არ არის ქარ. ცხ—ში.

იბერიის საზღვრამდე, და თვით მეფე დავით შემწევდულოცა<sup>1)</sup> 553  
 ციხეს შინა ატენისას, და ჰბრძოდა მრავალდღე, და ვერა წაუღო  
 ციხე იგი ატენისა, და წარვიდა სახედ<sup>2)</sup> თვისად, და წარიღო ნატ-  
 უკენაჲ მრავალი:

მაშინ ეზრახნეს<sup>3)</sup> უმრწემსნი ძმანი მისნი მეფეს დავითს, ვა-  
 ამიერიტგან ვერღარა შემდეგებულკართ დათმენად ბეროტისა მის კა-  
 ცისა მიერ: რა კახეთიცა ვიდრე აქამომდე მამათა ჩვენთა ეპურათ:  
 და კად<sup>4)</sup> კახეთი საბრძანებულსა სახლის ჩვენისასა დამონებულ იყუ-  
 ნეს<sup>5)</sup>: და აწ ესრეთ აღზავნეს ჩვენ ზედა, ვიდრედა საქართველოსაცა  
 ზედა უფლებულანს, და ჰნებაჲს სდა მიმძღვრებად თვისად, და  
 აწ ჩვენცა აღვსდგეთ მათზედა და ვბრძოდეთ მათ, ადა მეფემან  
 დავით არა ინება: რა მსგავსად სეხნად სახელისა მისისა დავითი-  
 სებრ მშვიდ იყო, და არა შურისმძიებელ, ვითარ იგი საუფლის-  
 თვის<sup>6)</sup> მშვიდ იყო: ხა ვინათგან არა უსმინა, მაშინ ჰსთხოვა უმრწე-  
 მესმან ძმამან მისმან ბაგრატ მეფეს დავითს მუხრანსა საუფლის-  
 წულოდ და დროშა. და დარაჯდა, გამოითხოვა ერისთავი ქსნისა,  
 და კეობა არაგვისა:

ხოლო მეჩემან დავით მისცა, და ესრეთ წარმოემართა, და  
 მოვიდა მუხრანს ციხე მტკვრისა<sup>7)</sup>, რომელ არს ციხისძირის თავსა,  
 და დადგა მუნ:

ჰსცნა რა ესე ავგიორგომ, შემოკრიბნა სპანი თსნი რაოდენ  
 ძაღედგა და წარმოემართა, მოვიდა და მოადგა გარე ციხესა მას  
 მტკვრისასა<sup>8)</sup>, და ადგა სამსა თვესა და ვერ უძლო აღებად: მაშინ ავ-  
 გიორგომ მიუძღვნა ღვინო ერთითა საღვინითა, და მიუმცნო ესრეთ  
 ბაგრატს: ვინათგან ესოდენი ჟამი არს ციხესა მაგას შა შემწე-  
 დეულანს, და არა ჯერ არს ძისა მეფისა შეჭირვებაი უღვინობითა<sup>9)</sup>.

1) ქარ. ცხ—ში: შემწეულ.

2) ქარ. ცხ—ში: წაეიდა რა სახიდ (გვ. 287).

3) ქარ. ცხ—ში: ეზიარნეს.

4) ბარ—ში: სრულიად.

5) ქარ. ცხ—ში: სახლისა ჩვენისათა დამონებული ჰყენეს.

6) ქარ. ცხ—ში: სულისთვის.

7) ქარ. ცხ—ში: მტკვრისა.

8) ქარ. ცხ—ში: მტკვრისასა.

9) ქარ. ცხ—ბა უმატებს: და.

შეიძლება ღვინო ესე, და ჰესუ ამისგან ნუგეშინის საცემელად შენდა, რა ზური და ღვინო ახარებს გულსა კაცისასა: და ვა მთართვეს ბაკრატს სიტუვა ესე, და ღვინოცა იგი, მაშინ აქვინდა ციხესა მას შინა ორაგული ახალი, და ღვინისა მის წილ წარმოსცა ორაგული იგი მეტეველმან ესრეთ: ეგეოდენი ჟამი არს, ვინათგან მდგომარე ხარ 554 ზირსა ზედა ქსნისასა, და არა მოკვდიან ორაგული: და ესრეთ სიმტკიცით არს ცხლურება ჩვენი: აწ მიირთვი ესე, და ამით საცნაურ არს, რამელ<sup>1)</sup> გერძაღვიძის ადებს ციხისა ამის:

ხალა მთართვეს რა ავ-გიორგის ორაგული იგი, მაშინ ჰსცნა სიმრავლე საზრდელთა, და სიმტკიცე ციხისა მის, და შეუწუხდეს სპანიცა: მაშინ აღიყარა და წარვიდა სახლად თვისად, და მუნ დაუვნა მცირედ: და შდ მცირედისა ხანისა წარმოვიდა ზემოქართლად, და წარმოსტევენა იგი ძლიერად, და წარმოიღო იავარი მრავალი, და წარმოვიდა უშიშად: ჰსცნა რა ესე ბაკრატ მზურობელმან მუხრანისამან, შემოიკრიბნა მცირენი სპანი თჳსნი და დაუმიხარდა კვესა მას, რამელარს ძაღისა, და ჭაპურს შუა:

ხალა რამელნიმე სპანი ავ-გიორგისა, წინათგან წარმოსრულიუვნეს ნაშეგონათა: ხა ავ-გიორგი უკანითკერძო წარმოემართა ნადირობითა და შექცევითა, და ვა მოიწია მუნ, სადა ბაკრატ მზირად განწეობილიყო, მაშინ მიეტევენეს გულითა სრულითა, და მსწრაფელ დაემკვა სილადე და ამხარტაუნობა მისი: ძაღისს შეიბნეს, და შეიპურა თვით ბაკრატ, და შეისხნა<sup>2)</sup> საკრეელი, და შეუკრა მკანნი: ხა იყო ავ-გიორგი ენითა ბრგვნილ: ჰრქვა ავ-გიორგიმ ბაკრატს: ვის ეკადრება შეპურება და შეეკრა მკრისა: და ჰრქვა ბაკრატ ავ-გიორგის: ჟერეთ ესე მოვაწიე შენ ზედა, და აწ გამცნებ თუ რა მოიწიოს შენ ზედა, ვინ ხარ, და რა კაცი ხარ, რეგვინი, და ჭკუა მცირე: ხა ავ-გიორგისთანაცა მეოფენი, რამელნიმე კანნიცა შეიპურნეს, და სხვანი ღტოლვილინი შეიქცეს, და წარმთართვეს ნატევენავი, რამელი წარმოედოთ მათცა<sup>3)</sup> მრავალი: და წარი-

<sup>1)</sup> ქარ. ცხ—ში: რამეთუ.

<sup>2)</sup> ბარ—ში: შეიხსნა.

<sup>3)</sup> ბარ—ში: და მათიცა.

ყუანეს შეპერობილი ავ-გიორგი, და ჰატომარ ჰყო ციხესა მას შინა მტკერისასა<sup>1)</sup>: ქკსა, სა: იქეს აქეთ, ჩფიღ<sup>2)</sup>:

ხოლო ბაგრატ მიუმცნო საქმე ესე ძმასა თქმსა მეფესა და-  
ვითს, და განიხარა სიხარულითა დიდითა, და შდ მცირედისა ჟა-  
მისა მოაშთვეს ავ-გ<sup>3)</sup> ციხესა მას შინა, და მოკვდა: ხ<sup>3)</sup> ჰსცნა რა  
სიკვდილი მისი მეფემან დავით, მაშინ აღიღეს გვამი მისი, და 555  
წარიღეს მცხეთას ეკლესიასა მთავარანგელოსისასა ჩრდილოეთით  
კერძა, და მას შ<sup>3)</sup> დაშარხეს, და აღსრულეს წესი დაფუფისა, და  
კეთილად მოურნე ექმნეს, ვითარცა ჯერარს მიცვალებულთათვის: ხ<sup>3)</sup>  
დაშთა ავ-გიორგის ძე ერთი, და ეწოდა რემსა მას სახელად ლე-  
ვან: ამისა შ<sup>3)</sup> განილაშქრა მეფემა დავით კახეთსა ზედა, და და-  
იპურა ს<sup>3)</sup>დ კახეთი, და მტკიცედ ეპურა იგი ჟამსა რაოდენსამე:

ხოლო მეფე დავით განაკებდა კეთილად ქართლსა და კახეთ-  
სა, და იყო ურმა იგი ლევან დედითურთ სახლსა შინა ჩოლყას-  
შვილის გარსევანისასა, რ<sup>3)</sup> იყო მეფვისი დედა იგი ლევანისა ჩო-  
ლყასშვილის გარსევანისა, რომელი იყო სახლთუხუცესი კახი ბა-  
ტონისა: მაშინ აუწყეს მეფესა დავითს ურმისა მისთვის ლევანისა,  
რ<sup>3)</sup> აღორძინებულარს კახეთსა შ<sup>3)</sup>, და წარავლინა ძმა თჳსი ბაგ-  
რატ, და ერისთავი ქსნისა, და ამილახორი, რათამცა მოიძიონ ურმა  
იგი თუ სადა არს: მაშინ იწყეს ძიება მკვიდრთა მათ კახეთისა  
სახლსა შ<sup>3)</sup> დიდთა და მცირეთასა, და განავლინეს ბრძანება, და  
შეშოიფიცეს ყოველინივე, რათამცა გამოაცხადონ ურმისა მასთჳს, თუ  
სადა არს, და ესრეთ მოვლეს რომელიმე კახეთისა კერძონი: მაშინ წარი-  
ყუანეს ლევან მოსკოვისა კნიაზთანა, და დედა მისი დედოფალი ელენე  
აღიყუანეს ციხესა მადრანისასა<sup>3)</sup>, და განამარკეს ციხე იგი, და მერმე  
მივიდეს ბაგრატ, და ერისთავი ქსნისა, და ამილახორი სახლსა  
ჩოლყასშვილის გარსევანისასა, და მას დამესა კეთილად უმასპინძ-  
ლა, და დღესა მეორესა დაუმტკიცა ფარცით გარსევან, გ<sup>3)</sup>დ არა  
არს სახლსა ჩემსა, და რომელიცა იხილეთ თვალითა თქვენითა,  
სხვა არავინ არს სახლსა შ<sup>3)</sup> ჩემსა: ხ<sup>3)</sup> იყო რაოდენიმე ხანი, კ<sup>3)</sup>დ

1) ქარ. ცხ—ში: მტკერისასა.

2) უნდა იყოს: ჩფიღ.

3) ქარ. ცხ—ში: მადნარისასა.

მოვიდა ლევან სპითურთ რუსით, და შთამოვიდა კახეთს, და შევიდა ციხეს მას შა ოჩონისას, რომელ არს თავსა იგრისას: მაშინ კახნი უოველნი ვე მივიდეს მისთანა და შეჭვიცეს, და მიერთეს ლევანს, წარმოიყვანეს, და გაიბატონეს, და დაიპურა კახეთი ლევან:

556 ხ ჰსცნა რა საქმე ესე მეფემან დავით, შემოიყარა სპანი თვისნი, და წარემართა კახეთსა ზედა: გარდაუღო გომბორი, და შთავიდა კახეთად: მაშინ კ დ იპურა კახეთი, და შემოეყარნეს კახნი უოველნივე: ხ ლევან იფლტოდა, წარვიდა და შევიდა ციხესა მას შინა, რომელ არს თავსა მადრანისას<sup>1)</sup>, რ დადგა მეფე დავით, და მოიცვა გარემონი ციხისა მის, და ბრძოლა უეო ძლიერად:

ამას ჟამსა შინა მივიდეს ურიცხვნი სპანი ოსმალთანი, და მოაკრეს ს დ სამცხე, და ვერა აღუდგეს მესხნი წინა: წარმოვიდეს მუნითგან, და მოვიდეს ქართლს, და გერვინ აღუდგა წინა, რ ქართველნი კახეთსავე იუუნეს ლაშქრად: და ვითარცა ესმა მეფესა დავითს მისვლა იგი ოსმალთა, ჟერეთ არა გამოაცხადა, ამისთვის რომე ძლიერად შეეჭირვებინა ციხესა მუოფნი, და მცირედსა ხანთა შა ეგუღებოდა ალება ციხისა მის: და წარავლინა მოციქული მეფემან დავით, ამილახორი, და მთავარ ეპისკოპოსი, და სთხოვა ციხე: მაშინ ფ დ შეჭირვებულთა მუუნეს ციხესა შინა მუოფნი, და ვერ ძალედვით განმაგრება ციხისა მის: და რა ესმა საქმე ესე დედასა ლევანისას, მისვლა ამილახორისა და მთავარ ეპისკოპოსისა, და აღარა ჰქონდათ ღონე ციხის მიცემისაგან კიდე: და<sup>2)</sup> რა შევიდა მთავარ ეპისკოპოსი და ამილახორი ხილვად დედისა ლევანისა, მაშინ აღდგა დედა იგი ლევანისა და მიეგება შემთხვევად მთავარ ეპისკოპოსსა: და რა მივიდა, ჰკრქვა მთავარ ეპისკოპოსმან იდუმალ: მაგრა იყავით, რ დამესა ამას უკუეუერებით ციხესა ამას, და წარვალთ ქართლს: მაშინ წარვიდა დედა იგი ლევანისა სიხარულით, და აუწვა საქმე მეციხოვრანთა მათ, და განამტკიცნა იგინი:

ხ ო ლ ო დღესა მეორესა სთხოვეს ციხე, და მათ დიდად უარჰქვეეს მიცემა ციხისა, და შემოუთვალნეს სიტყვანი მაგარნი: მაშინ

<sup>1)</sup> ქარ. ცხ—ში: მიღნირისასი.

<sup>2)</sup> ეს სიტყვა არ არის ქარ ცხ—ში.

წარმოვიდეს მონიჭებული იგი, და აუწიეს მეუფის დავითს: ხ მსწრათუდ აიყარა მეუფე დავით, და წარმოვიდა ბრძოლად ურუმთა, მოიწია ზემო ქართლს, მაშინ ეწვევნეს ძლიერად ოსმალთა, და ძალითა მრავალ მოწყალისა დღისათა მიეცა განმარჯვება ქართველთა, და მოსწვიდნენ მრავალნი ოსმალთაგანნი, და სხვანი შეიპყრეს და 557 ტუვე ჰევეს, და წარმართვეს ალაფი, და ნაშოვარი მათი, და სხვანი რომელნიმე ღტოფილნი წარვიდეს სახედ თვისად: მაშინ რაჟს წარმოვიდა მეუფე დავით, კდ დაიპყრა ლევან კახეთი, და შემოკუყარნეს კახნიცა სრულიად, და იუო მაშინ ლევან წილისა შვიდისა: ხ რაჟს ესმა მეუფის დავითს ჰერობა კახეთისა, მაშინ შეიყარა<sup>1)</sup> სპანი, და წარვიდა კდ კახეთსა ზედა: მივიდა საგარეჯოს, და შემოკუყარნეს გარესჰელნი, და მას აქათი კახნი უოველნივე: მაშინ ლევან იდგა ქისიუსა, და ახლდეს რომელნიმე კახნი, მივიდა მეუფე დავითცა ქისიუსა, და ეწვევნეს ურთიერთარს: და სძლო სამართალმან ლევანისმან, რ ესრეთ მოწყალე არს დთი ქვრივთა და ობოლთათჳს, და მცირითა სპითა განემარჯვა ლევანს მეუფის დავითს ზედა, და მეოტიქმნა, და წარმოვიდა ქართლს:

მაშინ ლევან მტკიცედ იპყრა კახეთი, და შდ მცირედისა დაემზახა<sup>2)</sup> ლევან მპერობელი კახეთისა გურიელსა, და მოიყვანა ასული გურიელისა ცოლად: და ეწოდა თინათინ: და ამან გურიელის ასულმან თინათინ ჟა სიყრმისა თჯისისასა იხილა ჩვენებასა შა ესრეთ, რომე მაჰყვანდა იგი სძლად კაცთა ვისმე მთავართაგანსა, და გზასა ერთსა<sup>3)</sup> დაისადგურეს დღესა ერთსა: და მას ადგილსა, რომელსა მდგომარე იყუნეს, იხილა მუნ შინდი ერთი მდგომარე: და იუო შინდი იგი თეთრი:

და აუწიებდა ვინმე კაცი სამღუდელოთაგანი, რათამცა აღუშენოს მონასტერი დედასა დღისასა ადგილსა მას, სადა იდგა შინდი იგი თეთრი, და ესრეთ იხილა ჩვენება იგი: ხ რაჟამს ჰსთხოვა ლევან მპყრობელმან<sup>4)</sup> კახეთისამან გურიელსა ასული იგი მისი თი-

<sup>1)</sup> ქარ. ცხ—ში: შეიპყრა.

<sup>2)</sup> ქარ. ცხ—ში: დაემზახლა. ბარ—ში: დაემძახა.

<sup>3)</sup> ქარ. ცხ—ში: ზედა.

<sup>4)</sup> ამ სიტყვაში პ-ს წინ ნახვარია ნახევარ ხმოვანი ასო ანტონ კათალიკოზისა.



ნათინ ცოლად, მაშინ მოსცა გურიელმა, და წარმოიყუანეს კახეთს, მაშინ მაიწივნეს რა იგინი შუა მთას, და მუნ განისვენეს მს დღესა:

558 ხოლო მიმოხედვიდა ასული იგი გურიელისა თინათინ, და იხილა მუნ შუა მთას შინდი იგი თეთრი, რელი ჰირველ ეხილა ჩვენებასა შა, და მოესუნა ჩვენება იგი, და შინდი რომელი ღმკომარე იყო ნიშად ეკლესიისა მის მომასწავებულად, მაშინ გულისკმა ჰყო, და სარწმუნო იქმნა განკებულებასა მას ზედა:

ხოლო რაჟს იქორწინა, შად მცირედისა ჟამისა იწყო შენებად შუა მთას მონასტერსა დედისა დათისასა, რა ფრადი მოსწრაფება აჩვენა, და ჟამისა რაოდენთამე შინა ადაშენა იგი, შეასრულა, და შეამკო უოველსავე სამონასტროსა წესითა და სამკაულითა: და შესწირინა აგარაკნი და დაბანი, და დაადგინა მასზედა მოძღვართ მოძღვარი, და იგი შემზადა სამარხოდ თვისადა:

ხოლო ჰჴევა ამან გურიელის ასულმა თინათინ ძენი ორნი, სახელი ერთისა მის ალექსანდრე, და მეორისა მის ვახტანგ: და ამისა შემდგომად მიიცვალა გურიელის ასული თინათინ, და დაუტევა ანდრძი, რათა არა დამარხონ გვამი მისი ქმრისა მისისა<sup>1)</sup> ლევანისათანა, ად დამარხონ იგი შუა მთას თჯისა ადშენებულსა მონასტერსა, და ჰევეს ეგრე: და ამისთჳს არა დაემარხა ქმრისა თჯისათანა, რა ლევან იყო სიძვისა და მრეშების მოყვარე: და კად ისეა ლევან ცოლი სხვა. ასული შამხლისა, რომელსა ეწოდა შამხალსა მას სახელად უარა მუსად: და კად მიეცა შამხლისათანა ასულისა ძენი სამნი, გიორგი, ელიმირზონ და ქაინოსრო:

ხოლო მეფე ქართლისა დავით მეფობდა კეთილად მშვიდობით:

ქკს, სვ: აღიძრა უანი, და წარმოვიდა უფუსითა საქართველოსა საქრისტიანოსა, ხატთა, და ჟვართა ეკელასა ატევებდეს: მატრონმან მეფემან დავით თჯისი შჯლი რამაზ გაგზავნა, და უანს წინ მიაკება, და დაიკნა საქრისტიანო, და დაჰყო რაოდენიმე ხანი, და მერმე დღითა აღსავსემა აღიჩნია კეთილი ნაწილი, და იქმნა

<sup>1)</sup> კარ. ცხ—ში: თვისისა.

მონაზონ, და უწოდეს სასულად დამიანე: და ესხნეს ძენი სამნი: ღუარსაბ, დიმიტრი და რამაზ:

ქკს, რზ<sup>1)</sup>: მიიცვალა დიდისა მონასტრისა გენათისა მოძღვართ მოძღვარი, ილარიონ ჰატონი: თაკესა მანისს<sup>2)</sup> ვ: და გორის ჭვარი(თ) აქა გელათს მასვეენეს:

ამასვე ქკსა მიიცვალა მეფის ბაგრატის შვილი მუცლის 559 ტვილითა, და იყო მეფე დავით უფილი დამიანე სინანულსა და ვედრებასა დისსა, რ ალექსანდრეს სენაკი მცხეთას, და იყოფებოდა სიმათლით: ქკნი იყო, სიდ:

ჟამსა ამას ჯდა კზი მეღქისედეკ, ძმა მეფის დავითისა:

ქკს, სიდ: მისცეს ბაგრატს ქართლი, მეფესა იმერეთისსა, არადათის წყალს გამოდმა, აღი, სურამი და ახალდაბა:

ამასვე წელსა მიიცვალა მეფე დავით ტფილისის ქალაქს, და დამარხეს მცხეთას: ამასვე წელსა იქორწინა ძემან მისმან ლუარსაბ, და შეირთო ცოლად მეფის ბაგრატის ასულა თამარ, მარტს, კე:

და მეფობდა ლუარსაბ, ძლითა და შეწევნითა ბაგრატისათა: და იყო უანად შაჰ ისმაილ, მეოთხე შვილის შვილი იყო შინისა მის, რომელი გამონდა ჰირველ არდაველს, და დაიპყრა შაჰისმაილ სამეგრეო თვასი არდაველი, და მუნთგან იწყო ბრძოლად სპარსეთისა, და დაიპყრა სპარსეთი:

ქკს, სივ: მიიცვალა იმერელი<sup>3)</sup> ბატონის შვილის ვასტანგის ცოლი, კახთა მეფის ასული ხვარამზე:

ქკს, სიზ: მიიცვალა ქუთათელი გერასიმე, იანვარს, ი:

ამასვე წელიწადსა დაჯდა მათი ძმისწული სვიმონ<sup>4)</sup>: და წარვიდა ეკურთხა საუდარსა ბიჭვინტისსა:

ამასვე ქკსა, მეფეთ მეფემან<sup>5)</sup> ბაგრატ განჭყო ღიბთიმერი სამ საეპისკოპოსოდ, ბრძანებითა აფხაზეთისა კზისა აბაშიძისათა:

<sup>1)</sup> ქარ. ცხ—შიც „რზ“ სწერია. ხოლო ბარ—ში: „სზ“, რომელიც უფრო მართალია.

<sup>2)</sup> ეს სიტყვა არ არის ქარ. ცხ—ში.

<sup>3)</sup> ბარ—ში: იმერელის.

<sup>4)</sup> ბარ—ში: სვიმონ.

<sup>5)</sup> ქარ ცხ—ში: მეფემან მეფეთამან.

ინება ღვთივ გვირგვინოსანმან მეფემან მეფეთამან ბაგრატ, და დედოფალთ დედოფალმან ელენე 'ტიდისა და ცათა მობაძვისა საყდრისა, ახლასა იეროსალიმისა, გენათისა ეპისკოპოსისა მელქისედკისა საუკარლის ძესა<sup>1)</sup>, საუკუნოდა<sup>2)</sup> ანს კსენება მათი:

ამასვე დროსა იმავე ჰატრონმა გაიჩინა ხონელ ეპისკოპოსად ოჩხეტის ძე მანოელ მისვე<sup>3)</sup> აფხაზეთისა კ'ზისა კელითა, საყდართა შიგან ბიჭვინტისათა: ქ'კნი იუო, სიზ: წარვიდა<sup>4)</sup> აფხაზეთს 560 სკ'ხებულად: ივნისს, კ: და მოვედით ივლისს, კ<sup>5)</sup>:

ამას ჟამსა მონაზონ იქმნა გიორგი, ძმა დავით მეფისა, და უწოდეს სახელად გერასიმე: და ბაგრატცა, ძმა მეფის დავითისა და გიორგისა, რომელი უფლებდა მუხრანს, იგიცა მონაზონ იქმნა, და უწოდეს სახელად ბარნაბე: ხ' რაჟს მონაზონ იქმნა ბაგრატ მპურობელი მუხრანისა, და ესხნეს მას ძენი ოთხნი, ერეკლე, არჩილ, და<sup>6)</sup> აშოთან, და ვახტანგ: მაშინ მტკიცედ ეპურა ქართლი მეფესა ლუარსაბს: ხ' კ'ზი მელქისედკე ჰირველვე განძებულიყო, და იდგა მონასტერსა არმაზისსა, და იუო კ'ზად გერმანე: და ტფილელად დომენტი: და მროველად გედეონ:

ქ'კს, სით: და<sup>7)</sup> ივლისს, ია: მიიწვალა მეკეტის ძე სარკის:

ხოლო ოდეს დაიპურა ქვეუნა სპარსეთისა შაჰისმეილ, მაშინ წარმოემართა, და განიგულა დაპურება საქართველსა, მოვიდა ძლითა დიდითა, და სპითა ურიცხვითა, და დაიბანაკა აღჯაყალს<sup>8)</sup>: მაშინ ჰსცნა რა მეფემან ლუარსაბ, შემოიყარა სპანი თ'ჯსნი, და დადგა ტფილისს, განამაგრა ციხე ქალაქი:

ხოლო შაჰისმაილ წარმოგზავნა ამირ სპასალარი ურაფირი<sup>9)</sup> სპითა ურიცხვითა, კ'დ შემდგომად მცირედისა წარმოგზავნა მის-

1) ბარ—ში: ძისა

2) ქარ. ცხ—ში: საუკუნოდაშც.

3) ქარ. ცხ—ში: იმასავე.

4) ქარ. ცხ—ში: წარვედით.

5) უკანასკნელი ოთხი სიტყვი არ არის ქარ. ცხ—ში (გვ. 271).

6) ეს სიტყვი არ არის ქარ. ცხ—ში.

7) ეს სიტყვა არ არის ბარ—ში.

8) ქარ. ცხ—ში: აღჯაყალას.

9) ქარ. ცხ—ში: ურაფირი.

კარბაში<sup>1)</sup> ელიასბეგ სპითა ურიცხვითა: და შემდგომად მათსა თვით-  
ცა წარმოვიდა: მაშინ წარვიდა მეფე ლუარსაბ<sup>2)</sup>, და მივიდა დეჟესა  
მას თელეთისასა, და მუნ განაწყო სპა თჳსი, და რაჳს მოვიდა  
ყარათორი ამირ სპასალარი, და ეწვევნენ ურთიერთარს, და იქმნა  
ბრძოლა ძლიერი, და მკნედ იბრძოდეს სპანი ქართველთანი, ვა  
ლომნი, და მოჭსწყვიდნეს ურიცხვნი თათარნი, მიდრკეს იგინი,  
და ოტებულნი ივლტოდეს, ვა ჯოგი კანჯრისა ლომთაგან დანჭრე-  
ბული<sup>3)</sup>, მაშინ შეემთხვია წინათ კერძო მიშკარბაში ელიასბეგ ოტე-  
ბულთა მათ უიზილბაშთა: და კად უკმოაქცივნა ლტოლვილნიცა  
იგი, და თსითა სპითა წინა განეწვევნეს ქართველთა: კად შეიქმნა  
ბრძოლა ძლიერი უძლიერესი პირველისა, და ძლითა დისათა კად  
მძლე ექმნეს ქართველნი, და მოსრნეს უმრავლესი პირველისა ომი-  
სა, და იოტნეს იგინი, და მიჭეუნენ უკანა მათსა ქართველნი, 561  
ჭსრვიდეს და ამოსწყვიდნეს მრავალნი, და აღმოვიდა შაჰისმელცა ყო-  
ველთავე ძლითა თჳსითა და სპითა უმრავლესითა: ესრეთ მოიწია  
მათსა თელეთისასა, რომელ არს კერძოთა ტაბაკმელისათა, გარდ-  
მოჭხედნა შაჰისმელი, და იხილნა სპანი თსნი ძლიერად ოტებულნი,  
და მიმოდანჭრეულნი<sup>4)</sup>, და უმრავლესი დაკოცილნი, და უკანა მათსა  
ქართველნი ფიცხლად მდევნელნი, და განლაღებულნი მათზედა:  
ამს ზედა შეწუნა შაჰისმაილ, და შემოუტივეს შაჰისმაილ სპათა  
მისთა ყარაყოინდუთა:

მაშინ დაშტეს ქართველნი წინათ კერძო, და უკანა მათსა შაჰ-  
ისმაილ, და სპანი მისნი, რ ომისაგან ფად<sup>5)</sup> მაშერაღთა ქართველ-  
თა, რაცოდენ ძალედვათ, ძლიერად ბრძოლა უუვეს, და განგრძობასა  
შა ომისასა იძლივნენ სპანი ქართველთანი: მაშინ ივლტოდა მეფე  
ლუარსაბ, და მივიდა ზემო ქართლს, და კად ენება შეკრება სპათა,  
და ბრძოლა, ად ვერდარა ეძლო<sup>6)</sup> ადრე შეერა, რ დაითანტნეს  
ქართველნი:

<sup>1)</sup> ქარ. ცხ—ში: მიშკარბაში.

<sup>2)</sup> ბარ. უმატებს: ტფილისით.

<sup>3)</sup> ქარ. ცხ—ში: დანთქრეული.

<sup>4)</sup> ქარ. ცხ—ში: მიმოდაქცეული.

<sup>5)</sup> ბარ—ში: ფრიადისა ომისაგან.

<sup>6)</sup> ქარ. ცხ—ში: უძლო.

და წარმოვიდა შაჰისმიელი, და გარე მოადგა ციხესა ტფილისისას, და ბრძოლა უყო ძლიერად, მაშინ აღუთქვეს ნიჭი დიდი ციხისთავსა მას ტფილისისას, და ესრეთ მონდო ციხისთავი იგი, და მისცა ციხე: და დაიპურა ციხეცა, და ქალაქი, და ჰქმნა მრავალი ბოროტი: შემუხრნა წმიდანი ეკლესიანი, და შეაგინნეს სიწმიდენი, და მრავალნი ხატნი და ჯვარნი წარუყენეს<sup>1)</sup>: და თვით შემუხრა კელითა თხსითა მრავალ სასწაულმოქმედი სიონთა დ'ისმშობელი, და განსძარცვა მრავალფერი<sup>2)</sup> სამკაული, ქართველთა მეფეთაგან სასოებით შემკული, ამან უღმერთმან მიჰყო წარმდებათ ბილწი კელი თხსი და შემუხრა ყოვლად ნათლიერისა მის წმიდისა ხატისა<sup>3)</sup> უფასონი იგი თვალნი, და მარგარიტნი თვით წარიდო, და წმიდა<sup>4)</sup> იგი ფიციარი განაშიშვლა მძლავრმან უსჯულმან შაჰისმიელი, და დასდგა თავსა ზედა განსვალსა მას კიდისას, რომელ არს ციხესა შინა

562 ტფილისისას, და შეიპურეს მრავალნი ქრისტიანენი, და მიჰკრებეს კიდესა მას ზედა, და მძლავრებით აიძულებდეს ფერკითა დათრგუნვად ხატსა მას წმიდისა<sup>5)</sup>:

რომელთამე<sup>6)</sup> ქრისტიანეთა ფ'დ უარ ჰქვეს განსვლა კიდესა მას ზედა, და დათრგუნვად ხატსა მას წმიდისა დედოფლისა ჩუენისას, და მრავალთა აღიჩიეს სიკვდილი, და არა დათრგუნეს ხატი, და წარუკვეთნეს წმიდანი, და ყოვლად ქებულნი თავნი მათნი, და აწ იმოთხვენ ყვავილთა მათ შინა დაუჭნობელთა, წმიდათა ომყოფთა მოწამეთანა: ხ' რომელნიმე ქრისტიანეთაგანნი მომედგრდეს უძლეურობითა კორცთათა, და დაკლებულ იქმნნეს სასუფეველისაგან, რ' ვერა რა ივაჭრეს, და განვიდეს კრებისაგან ცალიერი:

ხოლო ოდეს აღასრულა ყოველივე სიბოროტე თხსი მძლავრმან უსჯულმან შაჰისმიელ<sup>6)</sup>, მაშინ გარდაუტევეს წმიდა იგი ხატი<sup>7)</sup>,

1) ბარ—ში: წარუყენეს.

2) ბარ—ში: მრავალფასი:

3) უკანასკნელი ხუთი სიტყვა არ არის ქარ. ცხ—ში (გვ. 272).

4) ეს სიტყვა არ არის ქარ. ცხ—ში:

5) ბარ—ში: რამეთუ.

6) ქარ. ცხ—ბა უმატებს: და.

7) ქარ. ცხ—ში ამ სამი სიტყვის მაგიერ: ყოვლად-ბრწყინვალე. ბარ—ში: ხატი იგი წმიდისა.

ყოფილად უხრწნელია დედოფლისა ჩვენი და დისმშობელისა მდინარესა მას შა მტკვარსა, და წარიდო ხატი იგი წყალმან მან, და განვიდა ქვემოთავერბო წიად მდინარისა მის: ეჭა საკვირველებად ესე, და სასწაული<sup>1)</sup> ხატისა მის, რა არავე განეშორა ტაძარსა თვისსა, ან იყო რაღმე წიად მდინარისა მის<sup>2)</sup> ხე ტირიფისა მდგომარე, და ძიხსა ზედა მისსა მიურდნობილი წადმართ სუენებული იხილა ვინმე მწეემსმან მიმავალმან კახეთად, და განსავალსა წელითსა ადიდო და განიხარა ფად, და თაყვანისცა მწეემსმან მან: ადიდო და მართკა მპერობელსა მას კასეთისსა ბატონს ლევანს, და მხარულ-იქმნა დიდად: და მიანიჭა მწეემსსა მას წყალთა მრავალი: და იწყო მეორედ შემკობად ხატისა მის<sup>3)</sup>, და რაცოდენ ძაღედვა, აჩვენა მოსწრაფება დიდი, და ესრეთ შეამკო, ვა აწ იხილები სიონისა დთისმშობელი: და კად ზედა წერილარს ხატსა მას ზედა ცხვრება კახეთის მპერობელის ლევანისა: ხოლო განსრულა ხატი, წარმოგზავნა ხატი იგი პატრიოთა დიდითა სიონისა შინა, და არს მიერთგან ვიდრე აქამომდე ზე აღმკულ ლევანის მიერ:

ხოლო აღაშენა შაჰისმაილ მეხითი ჰსჯულისა თვისისა ეურესა მას კიდისსა, და შეაუენნა მცველნი თვისნი, და განამაგრა ციხე, 563 და წარვიდა: და ამას შინა შემოიკრიბნა სპანი თვისნი მეფემან ლუარსაბ, და წარმოემართა შაჰისმაელსა ზედა, და ეგულვა კად ბრძოლა მისი, და რაჟს ჰსცნა ადება ციხისა მის, და შექცევა შაჰისმაელისა, დაუბძიდა ფად, მაშინ კად იპურა ქართლი მეფემან, და ამასვე ჟამსა შინა ეწია რისხვა დისა უღბინებელი შაჰისმეილს, და ბოროტი იგი ბოროტად წარწმდა, და დაჯდა მის წილად ძე მისი შაჰთამარს:

ხოლო შაჰისმაილ იყო კაცი მზაკვარი, და ამან გამოაჩინა სჯული ბიასი<sup>3)</sup>, და იწყო ძაგებად, და გინებად ჰსჯულისა ოსმალთასა, და განთქმულ ჰყო სახელი ალიასი, და უწოდა თავსა თვისსა ძედ ალიასსა, და მიერთგან ირწმუნეს უიზილბაშთა ძედ იმამისა,

<sup>1)</sup> ქარ. ცხ—ბა უმოტებს: ესე.

<sup>2)</sup> ეს სიტყვა არ არის ქარ. ცხ—ში.

<sup>3)</sup> ეგრევე სწორია ჩუბინოვის გამოცემაშიც (ქ. ცხ. ტ. II, გვ. 278), ხოლო ბარ—ში: შიასი.

და ვე აქამომდე ჰქნამსთ, და უბერიეს მტკიცედ: ხ' განმდიდრდა შაჰთამას უფრეს მამის თვისსა, და დაიბურა მრავალი ქვეყანა უცხოთა, რომელი არა ებურა მამისა მისსა:

ხოლო მეუთემა ჟურასაბ დაიბურა ტფილისი, და აღიღო ციხე ტფილისისა და გაამაგრა: მაშინ შაჰთამაზ იღვა უარაბადს, და ესმა ადგა ტფილისისა ციხისა, შემოიკრიბა სიმრავლე სხათა რჩეულთა, და ესე იღუმაღ წარმოემართა ტფილისსა ზედა: და ამას ჟ' შინა მიიგვალა ტფილისს ძე მეუთის ჟურასაბისი ურმა მცირე: და წარიღეს ურმა იგი მცირე<sup>1)</sup> მცხეთას სამარხისა თ'სსა, და წარჰყვეს თანა მეუთე და დედოფალი: და რომელსაღა დღესა განვიღეს ტფილისით, მასვე დამესა შემოვიდა შაჰთამაზ ტფილისსა შინა, და დაიბურა ს'დ ქალაქი: და ზეგარდამოთა განგებოთა დ'ისათა მორჩეს დიდსა განსაცდელსა მეუთე და დედოფალი, და მათთანა მეოთხნი ქართველინა: ხ' ჰქნა რა საქმე ესე მეუთემან, წარვიდა სიმაგრეთა შინა, და ეგრეთვე ს'დ ქართველინი წარვიღეს სიმაგრეთა შინა: ამისთვის ვერდარა შემოიკრიბა სხანი თვისნი მეუთემან, რ' იყვნეს დაუბინანაინი ქართველინი, და უოველინივე დასახინანავად წარვიღეს: მაშინ შაჰთამაზ მოაწია მრავალი ჭირი<sup>2)</sup> ტფილისსა ზედა, მე-  
564 იბურეს და განსძარცვეს ხატი იგი მეტეხისა, სახე წმიდისა დ'ის-მშობელისა, და ამოსწვიდნა მრავალი სულნი: ხ' ციხის თავსა გულბაადს შეეშინა დიდად<sup>1)</sup> მეუთისა თვისისაგან, ნუ უკ' ესე საქმე მე დამადვას მეუთემანო, და გარდამოვიდა ციხით, და მივიდა შაჰთამაზთანა, და მიანიჭა წყალობა მრავალი, და სხვანი მკრიხოვანნი რომელინივე წარვიღეს სახლსა, და რომელინივე მიერთნეს უიზილბაშთა:

მაშინ ციხისთავმან გულბაად და სხვათა მეციხოვნათა დაუტევეს ჰსჯული თვისი, და მიიქცეს სჯულსა მახმადისსა, და დაიბურა შაჰთამაზ ციხე იგი და განამაგრა, და თვით შეიქცა, და წარვიდა უარაბადს: მაშინ შეურიგდა მპერობელი კახეთისა ბატონი დევან, და წარვიდა შაჰთამაზ ნახჩევანს ქუანასა სომხითისსა, და დაიმორჩინდნა უოველინივე ურჩნი, და ჰყვნა საბრძანებულსა ქვეშე თვისსა:

<sup>1)</sup> ეს სიტყვა არ არის ქარ. ცხ—ში.

<sup>2)</sup> ბარ—ში; ბოროტი.

ქკს, სკა: დადიანი მამია, და გურიელი მამია წარვიდეს ჯიქეთს საბრძოლვად ზღვით ნაგებითა, და შეიბნეს თუქსა იანვარსა ოცდა ათსა: ზირველსა დღესა ამათ გაემარჯვა, მეორესა დღესა ჰარსკევესა, განჭრისხდა ღთი ოდიშართათვის, უღალატეს და გამოექცნეს, დადიანი და გურიელი და გურიელის ლაშქარი დაუტევეს, მოეტევნეს ჯიქნი, და შეიბნეს, მრავალი დაკოცეს დადიანმა, გურიელმა, და გურაელის ლაშქარმა: მოკლეს გურიელის შვილი გიორგი: და მისნი აზნაურშვილები: და მისი აზნაურშვილები<sup>1)</sup> დადაჯუღნი ომისაგან, შეჩვენებულმან ცანდია ინაღლითთა გაინდუნა, დადიანი გააშიშველეს, სდ შიშველი დაჭრეს გურიელი, და სამნი მისნი ძმანი, და ებისკოპოსნი, და მისანი ლაშქარნი ტყვე ყვეს: წარვიდა მალაქია კ<sup>2)</sup>, და გამოიკისნა ცოცხალნი, და მკვდარნი ფასით ივიდნა:

ქკს, სკგ: მეფე ალექსანდრე, ძე ლევანისა, იშვა: ამასვე ქკსა, 565 მეჭახეთს შეიბნეს, აგვისტოს, იგ: დღესა ხუთშაბათსა შეება მეფეთ მეფე ბაგრატ და ათაბაგი უვარეუარე ახალქალაქსა, და დაიკოცნეს მრავალნი კაცნი, და გაემარჯვა მეფეს, და კელთ დარჩა უვარეუარე და მისნი ლაშქარნი, და დაიხურა სდ საათაბაგო ძემან ალექსანდრესმან:

და ჟამსა ამას<sup>2)</sup> ბაგრატ მშურობელი იმერეთისა იუო სამცხეს, და ვა ესმა დახურობა<sup>3)</sup> სომხითისა, წარმოემართა იგიცა, და მოვიდა შაჰთამაშთანა მიზეზითა ამით, რომელ<sup>4)</sup> გაემარჯვა ბაგრატს უვარეუარე ათაბაგსა ზედა, და დაიხურა ბაგრატ საათაბაგო: მამინ ოტებუღიქმნა ოთარი შაღიკაშვილი, ივლიტოდა იგი, და თანა წაიუუნა იგი ათაბაგის ძე უვარეუარესი ქაიხოსრო, მივიდეს სტამბოლს და მოაჭი ექმნნეს ხვანთქარსა, და შეიწყა ზვანთქარმან, და მოცა ჯარი მრავალი, და თოფი, და ზარბაზნები დიდდინი, და უჩინა ამირ სპასალარად მუსტათ ფაშა, და წარმოგზავნა იგინი ბრძოლად ბაგრატისა:

ხოლო ესმა რა ამბავი ესე ბაგრატს, მშურობელსა იმერეთისასა,

<sup>1)</sup> ეს სამი სიტყვა არ არის ქარ. ცხ—ში და ბარ—ში.

<sup>2)</sup> ეს სიტყვა არ არის ქარ. ცხ—ში (გვ. 274).

<sup>3)</sup> ამ სიტყვაში პს შემდეგ ნახშირია ნახვეარ ხმოვანი ასო ანტონ კათალიკოსისა.

<sup>4)</sup> ბარ—ში: რაჟამს.



ამისთვის წარვიდა შავთამაშთანა, და არავინ წარიყვანა კაცნი უკლარონი, ად არჩი(ვ)ნა კაცნი ჭადრანი, და წარიყვანა დიდებულნი და მცირენი<sup>1)</sup>, მოხუცებულნი, ჭკუისმყოფელები, ჭადრანი, კაცნი მსგავსნივე მისნი: ხ იუკ შავთამაშ აიდაბეგს, და მივიდა ბაკრატ, დიდად ხატვისტა ყაენმა, და დაისვა წე, და მისთანა<sup>2)</sup> მოხუცებულნი მიმეფლნი მისნი: და უბრძანა ყაენმა ბაკრატს, რათა მოსწიოს მშვილდსა, და მოუტანეს მშვილდი ძლიერი ბაკრატს: ხ ბაკრატ არა რამე თავსიდვა, და ეპურა მცირე რამე ნახატი<sup>3)</sup> წვრილი ჯიხი, და მით ასწივა: ხ ყაენმა გაიციანა, და მისტა საბოძვარი დიდი, და გამოისტუმრა: ითხოვა მისგან ბაკრატ შეწევნა და ძალი ოსმალთა ზედა: და იუკ მამინ შავთამაშ ფდ უტალო, ვერა ათხოვა ჯარი, და მისტა საბოძვარი მრავალი, და მით შემწე ეუო, და წარვიდა ბაკრატ მხერობელი იმერეთისა სამცხეს:

მამინ წარავლინა ბაკრატ კაცი, და ითხოვა გურიელებისაგან შეწევნა, და წარმოვიდა გურიელი სპითა თსითა, და მოვიდა ბაკრატისათანა:

ქკს, სკე: მეფე სვიმონ იშვა, ძე ლუარსაბისი:

566

ქკს, სლა: ხვანთქრის თაშები მოვიდნენ, კბ ათასი: და სრულიად ტაო ამოსწვიდეს: მოუკდა ბაკრატ მეფე, ეწევნეს ურთიერთარს, და იქმნა ბრძოლა<sup>4)</sup> ძლიერი: მისტა ღონ გამარჯვება ბაკრატს, იოტნეს ოსმალნი, და მოსრნეს მრავალნი ჰირითა მახვილისათა: მამინ მოკლეს თვით მუსტაფა თაშა, და სხვანი ივლტოდეს ოსმალნი, და იშოვნეს მრავალნი სკანძურნი, და დაიპურა მტკიცედ საათაბაგო:

ამისა შემდგომად კდ წარვიდა ხვანთქართანა თთარი შადიკა-შვილი, და ქახისტრო ძე ათაბაგისი: ესმა რა ხვანთქარსა, დაუმძიმდა ფდ: და კდ წარმოავლინა აზრუმისა თაშა, და დაარბევინისა, და სხვანიცა მრავალნი, და შეკრბა სპათა სამრავლე ურიცხვი: და ესრეთ წარმოემართა სამცხესა ზედა: ჭსუნა რა ესე ბაკრატ:

1) ქარ. ცხ—ში: მეცნიერნი.

2) ქარ. ცხ—ში ამ ორი სიტყვის მიჯიერ: აქა.

3) ბარ—ში: ნატეხი.

4) ამ სიტყვაში რ-ს შემდეგ ნახმარია ნახვეარ ხმოვანი ასო ანტონ კათალიკოზისა.

წარმოუფლინა კაცი, და ითხოვა შეწევნა მეუფისა ლუარსაბისაგან: ხ- მეუფე ლუარსაბ იყო კაცი სახიერი, და ფ-დ ზრუნვიდა საქართველთათვის, და ეძინებოდა უსჯულოთა ზედა მოსვლისათვის, და დაკნინებდა საქრისტიანოსა:

მაშინ მოუწოდა სპათა საქართველთათა, და წარემართა შეწევნად ბაგრატისა, რ- ამან მეუფემან ლუარსაბ მრავალგზის აწვივნა იმერელნი, მესხნი და<sup>1)</sup> კახნი შეწევნად უსჯულოთა ზედა, ა-დ იგინი არა თანა შემწე ექმნნეს: და ესოდენ უმეტეს მოურნე იყო მათთვის, ვ-ა მამა შვილთათვის ტკბილარს და ღმობიერ: ეგრეთვე ესეცა ტკბილიყო მათთვის, და არა ძვირის მოკსენე: და ვ-ა წარვიდა ესე, მაშინდა წარვიდა გურიელი სპათა თ-სითა, და შეკრბეს<sup>2)</sup> უფლებივე სამცხეს:

ხოლო მოვიდეს ოსმალი ურიცხვნი, ქ-კს, სჯგ: ბასიანს, და მივიდეს ესენიცა მუნ, სადა ოსმალი დაბანაკებულ იყვნეს: ხ- იქმნა რამე განზრახვა ქართველთა შორის: თქვეს ქართველთა, და აღიჩინეს მეწინავედ მისვლა, ა-დ მესხთა არა თავსიდეეს<sup>3)</sup>, იტყოდეს ვ-დ ძველითგანვე მეწინაობად მისვლა მესხთათვის განწესებულარს, და აწცა ჯერარს ჩვენდა მისვლად, და რამეთუ რიგი ესე და წესი 567 ძველთაგანვე გვაქვსო:

ხოლო უმეტეს ქართველთა არა უსმინეს, და იქმნა ცილება ურთიერთარს შორის, და აღეგზნა შური დიდი: აჰა იხილეთ, მსმენელნო, გაბედვა და მკეთელობა<sup>4)</sup> საქმისა, ვითარ იგი ჰყუვის მაშინ ღამ ვეფხებერ მკეც ქმნილთა რჩეულთა მათ სპათა ქართველთა, უსჯულოთა მათ ზედა და მიეტევენს ქართველნი ვითარცა ელვა ქუხილისა ცისა, და იქმნა ბრძოლა ძლიერი, და შეიბნეს სისიოტს ზედა იმერელ მეუფე ბაგრატ, და ქართლის მეუფე ლუარსაბ, და ათაბაგი ზატონი ქაიხოსრო: და სრულად საქართველო იყო, და ორი ფაშა იყო: და მეფენი მეოტქმნეს:

მაშინ შურითა ბოროტითა აღსავსეთა მესხთა ინებეს განდრე-

<sup>1)</sup> ეს სიტყვა ირ არის ქარ. ცხ-ში:

<sup>2)</sup> ქარ. ცხ-ში: შეებნეს.

<sup>3)</sup> ქარ. ცხ-ბა უმატებს: რამეთუ.

<sup>4)</sup> ქარ. ცხ-ში: მკეთელობა.

კილება, და არღარა მიჰყვენენ ომის შინა: ხ<sup>1</sup> ჰსცნეს რა განდრეკი-  
ლებაჲ მესხთა, უფროსდა განიწიონეს თავნი თჳსნი ქართველთა და  
იმერელთა, და კანკრძელდა ომი, და მოისრნეს მრავალნი იმიერ  
და აბიერ, და უფროსდა მოსწევიდნეს ოსმალნი, ვ<sup>2</sup>ე ოთხი ზომა  
მოისრა<sup>3</sup>; მაშინ მოკლეს ძე გურიელისა ქაიხოსრო, და სხვანი მრ-  
ვალნი ქართველნი და იმერელნი: ქმნეს სახელი დიდი, და შემუს-  
რეს ყოველივე სამარი საჭურველი, და ესრეთ დარჩნენ, რომ  
საბრძოლველი იარაღი აღარა ჰქონდათ: და იყო ომი ძლიერი დი-  
ლითკან ვიდრე მწუხრამდე:

მაშინ სიმრავლისაგან სპათასა, იოტნეს სპანი ქართველთანი,  
დამაშკრალთა ქართველთა ჰსძლეს ოსმალთა, და შეოტიქმნენ,  
და ლტოლვილი წარმოვიდა მეფე ლუარსაბ ქართლს, და ბაგრატ  
იმერეთს:

ხოლო დაიპურეს ოსმალთა სამცხე და სიათაბაგო, და აღი-  
დეს ყოველნივე ციხენი, და სიმაგრენი სამცხისანი, და კააბატო-  
ნეს ქაიხოსრო, ძე ყვარყვარესა, და იქმნა ათაბაგ, მაშინ<sup>2</sup>) შემოი-  
კრიბნა მესხნი დიდნი და მცირენი ყოველნივე, და მთავრობდა ოთხ-  
რი შალიკაშვილი: ხ<sup>3</sup> ათაბაგი ქაიხოსრო დაემოყვრა მპურობელსა  
მუხრანისასა ბაგრატს, მოიყვანა ასული ბაგრატისი დედის-იმედი,  
568 და იქორწინა, და იყო ქალი ლაღ და ამპარტავან, გლისში და არა  
მოშიში დ<sup>4</sup>ისა:

ქ<sup>5</sup>კს, 1 ლდ: აწუურისა დ<sup>6</sup>ისმშობელი ტყვედ წასვენა ციხის-  
ჯვარს იმერელ მეფემ ბაგრატ:

ქ<sup>7</sup>კს, სღზ: ტაოს ქვეყანა დაიპურეს<sup>8</sup>) თათართა ურუმთა:

ქ<sup>9</sup>კს, სმა: არტანუჯი წაგვართვეს ურუმთა, და არსიანამდის  
დაიჭირეს ფარნაკანი<sup>10</sup>), და სრულ არტანი დაიჭირეს: და ფარნაკანი<sup>11</sup>)  
ააშენეს, აწუურისა დ<sup>12</sup>ისმშობლის შეწყენითა სამცხეს ვერ გარდმო-  
ვიდეს, და მძლავრობდენ ფ<sup>13</sup>დ ყოველთავე<sup>14</sup>) მესხთა ზედა, და ვერა

<sup>1</sup>) ეს სიტყვა არ არის ბარ—ში.

<sup>2</sup>) ეს სიტყვა არ არის ქარ. ცხ—ში.

<sup>3</sup>) ქარ ცხ—ში: დიპირგს:

<sup>4</sup>) ბარ—ში: ფარნაკანი:

<sup>5</sup>) ქარ. ცხ—ში: ყოვლისავე. ბარ—ში: ყოველსავე.

რა შეუძლეს ტვირთვად ბრტის ყოფასა ოსმალთას: მაშინ ოთარმა შაღაკაშვილმა, და ათაბაგმა, და ყოველთავე მესხთა წარაკლებს მოციქული თვითმშურებელის ერანის მშურებელასა შაჰთამაზისთანა, და ფ'დ მთაჯე ექმნეს, ებირნეს და ითხოვეს მისგან შეწყვნა, და აღუთქვეს მორჩილება და დამონება ვა ჰირველ:

ხოლო ვითარცა ესმა შაჰთამაზს, განიხარა ფ'დ, და წარმოქმართა სპითა ურიცხვითა სხათაბაგოსა ზედა, მოესწრა ყაენი შაჰთამაზ: ბატონი ქაიხოსრო<sup>1)</sup> მოვიდა, ვარძია, თმოგვი, და ვანის ქვაბი, და აწუერი, ასპინძა, ვარნეთი, და ს'დ სამცხის ციხეები<sup>2)</sup> ბატონს ქაიხოსროს მოსცა: და წარვიდა ყაენი, და ჩავიდა სომხითს, და<sup>3)</sup> დაეცა ვახუშტი და დიასამიძე: და ამონ ტყვედ წაიყუნა: მარიამობისთვისა:

ამასვე ქკს, ციხისჯვარიდამ აწუერის დ'ისმშობელი ტყვედ წასაყენეს იმერეთს:

ხოლო ჰსცნა რა საქმე ხვანთქარმან, სულთან სულეიმანს, წარმოვიდა იგიცა ძაღითა მრავლითა, და გულისწერომითა მესხთა ზ':

მაშინ შაჰთამაზ ვერღარა უძლო წინააღდგომად მისსა, და მოიხზოა მზაკვარება ესე, და მიუძნო ოთარს შაღაკაშვილსა სიტყუანი გულისწერომისანი: მიუწერა წიგნი რისხვისანი, და ექაღლა მოკვეთასა თავისსა, და სრულიად იავარყოფასა ქენისა მათისსა, ამისთჳს მოსწერა ესე წიგნი, რომ ოთარს მოეგზავნა ხვანთქარისათვის, რომ<sup>4)</sup> შაჰთამაზ ჩემი მტერი არისო, და ასრე მექადვისო: და მით მორჩომოდა ხვანთქარსა: ვა მიუვიდა წიგნი იგი ოთარსა, მეუფსეულად წარუგვლინა წიგნი სულთან სულეიმანს, და მიუძნო სიძარტლე თავისა თ'სისა, და უბრალო ყოფა მოსვლისათჳს ყაენისა:

569

მაშინ მიხედა დ'თნ მესხთა, და შეიბრაღა სულთანმან და წარვიდა სახედ თვისად სულთანნი, და წარვიდა ყაენიცა: ს' ბაკრატს, მშურებელსა იმერეთისსა, აქვნდა შური დიდი დადიანისა, რ' მაშინ

1) ბარ—ში: ბატონს ქაიხოსროს.  
 2) აქ ქარ. ცხ—ბა და ბარ. ვარ. უმატებენ: აღიღო და ვარძიისა ღუთის-მშობელი და სრულიად ციხეები.  
 3) ეს სიტყვა არ არის ქარ. ცხ—ში.  
 4) ბა—ში: ასე რომე.

ოდეს შეება ურუმთა ბაგრატი, ესე დადიანი მაშინ<sup>1)</sup> არათანა მწე ეყო მას: ამისთს განიზრახა, და მოაწვია დადიანი ლეონ ჭაღას ხონისას, და დალატად შეიპყრა იგი ბაგრატი, მპყრობელმან იმერეთისა- შინ, და ჰატიმარ ჰყო: მაშინ მიუმცნო გურიელსა საქმე ესე<sup>2)</sup>, და აღუთქვა ნახევარი ოდიშისა:

ხოლო გურიელმან არა უსმინა და თქვა გუფსა შა თსისა, ვინათგან ოდიშიცა დაიპყრას განლაღნების, და შერმე აღიძრვის ჩემზედაცა ბოროტის ყოფად შეტყველად: ხ რაჟს ჰსცნა ბაგრატი არა მოსულა გურიელისა, მაშინ ენება თვალების დაწვა დადიანისა, და არღარა ინება<sup>3)</sup>, და ჰქუანდა იგი ჰატიმარად გელათს სამრეკელისა- შინა: მაშინ ათაბაგმა ქაიხოსრო ჰსცნა რა შეპყრობად დადიანისა, აღძრა ჩხეიძე ხოფილანდრე, და გააპარა დადიანი, და მიიყვანა ათა- ბატანა: ხ ათაბაგმა და გურიელმა წარიუყუნეს და გააბატონეს იგი ოდიშს, და კ დ იპყრა დადიანმა ოდიში: ამისა შ დ გაუწყრა ხვან- თქარი გურიელსა, და მოიხსენა ძვირი ჰირველი, რაჟს იგი თანა შემწე ეყო ბაგრატს, და მოსწუვიდნეს სპანი მრავალნი ხვანთქარისანი: ამისთჯ წარგზავნა სპანი მრავალნი გურიასა ზედა, და მო- ვიდეს ბათომს, და იწეეს შენებად ციხისა: მაშინ შემოიკრიბა სპა თჯი გურიელმან, და წარვიდა მათზედა, და მისცა ღთნ ძლევა, და გაემარჯვა გურიელსა: დაუტევეს ბათომი, და შევიდეს ზღვასა- შა ნაგებიითა, და აღუდგეს მათ ღელვანი მძაფრნი, და განჰყარა

570 იგინი ჭოჩახს გაღმართ, და იყო იგი მდინარე ჭოჩახნი აღდიდუ- ბულ, და ვერღარა განვლეს იგი ცხენებითა გურიელმან და სპათა- მისთა: მაშინ მივიდეს გონიას, და იწეეს შენება ციხისა, და გა- მაგრდენ ოსმალნი, და იწეეს მძლავრება, ამოსწუვიტეს ჭანეთი, და თვით დაიპყრეს: ხ გურიელმან ითხოვა შეწეგნა ბაგრატისაგან, და დადიანის ლეონისაგან: მაშინ დადიანმა შემოიყარა სრულად აფხაზ- ნი და ოდიშარნი, და წარვიდა:

ხოლო ბაგრატიცა წარავლინა ძმა თჯი ვახტანგ, და სპანიცა იმერელნი წარატანნა კაცი ხუთასი, და აუწყა<sup>4)</sup> ძმასა თსისა ვახტანგს:

<sup>1)</sup> ეს სიტყვა არ არის ბარ—ში:

<sup>2)</sup> ბარ. უმატებეს: აწვია იგი განლაშქრებად ოდიშსა ზედა.

<sup>3)</sup> ეს სპი სიტყვა არ არის ქარ. ცხ—ში.

<sup>4)</sup> ქარ. ცხ—ბა და ბარ. უმატებენ: ბაგრატი.

შეს წადიერ იყავ, რათა არა ჰქონ დადინმა და გურიელმა ერთობა: და უკეთუ იგინი გაკრთნენ, მრავალი ბოროტი გვეწიოს ჩვენ მათ მიერ, და ეტადე რამე დადინი არ შეეუაროს გურიელსა: რ მამინ იდგა დადინი თვალსა რიონისსა: და ვითარცა მივიდა ვახტანგ სავსავანოს, მიუმცნო დადინსა, ვ'დ შენცა უწეი რომელ<sup>1)</sup>, მე ფიცი ვარ შენი, და არაჩას დაგიფარავ, ესე უწოდდე, რ მამან ჩემან ბაგრატ და გურიელმა შეთქმულება ჰქვეს შენზედა, და თუ მოხვალ გურიას, დალატი ჰნებავსო შენი, მაშინ ჰსცნეს რა ესე შეტრეულთა მოშინართა, არღარა ინებეს წამოსლვა გურიას, და მივიდა ვახტანგ გურიელსა როსტომისთან ბათამს:

ხოლო ვინათგან არღარა მოვიდა დადინი, ვერღარა შეუძლო გურიელმან ბრძოლად ოსმალთა, და ვერცაღა განვიდეს გაღმა, რ არა აქვნდათ ნაკები, მაშინ ოსმალნი უფროსდა განძიერდეს, და აღაშენეს ციხეები:

ხოლო წარმოვიდა ვახტანგ იმერეთს: ამისა შ'დ მიიცვალა ბაგრატ, მშერობელი<sup>2)</sup> იმერეთისა, და დამარხეს გელათს, და დაიპურა იმერეთი ძემან მისმა გიორგიმ: და ეპურა როსტომს გურია წელსა, იბ: და მიიცვალა იგიცა, და დაეფლა შემოქმედს: და ესხნეს ძენი სამნი: და უხუცესსა ეწოდა გიორგი, და ესე დასვეს გურიელად:

ხოლო ესვა ასული როსტომ გურიელისა ძესა დადინისსა ცოლად: და შ'დ სიკ'დილის მისისა, განუტევა ქალი იგი ძემან დადინისმან, და ქმნა დიდი ბოროტი, რ წაართვა ბიძასა თვისსა ცოლი, და ოვით შეირთო ცოლად: და გამოჰკადა ხანი რაჟმე, და კ'დ ერთობა ჰქვეს გიორგი გურიელმან და დადინმან ლეონ: და შეირთო გურიელმან ასული დადინისა ცოლად, და შ'დ მცირედისა მანცა განუტევა ასული დადინისა, და იძია შურმი: ჰსცნა რა ესე გიორგი, მშერობელმან იმერეთისმან<sup>3)</sup>, მაშინ ეზრახა გური-

1) ქარ. ცხ—ში: ვითარმედ. ბარ—ში: რომე.

2) ამ სიტყვაში პ-ის შემდეგ ნახმარია ნახევარ ხმოვანი ასო ანტონ კათალიკოზისა.

3) ეს სიტყვა არ არის ქარ. ცხ—ში.

ელსა და ქმნეს<sup>1)</sup> ერთობა, რ<sup>2)</sup> ჰევა მას სძალი ქვრივი, და მისცა იგი ცოლად გურიელსა გიორგის შურად დადიანისა, და იწვეს მტერობად დადიანისა და ვერღარა შეუძლო წინააღდგომა მათი დადიანმა, და მეოტად წარვიდა სტამბოლს, და მოაჴკე ექმნა ხვანთქარსა და ითხოვა მისგან შეწევნა: მაშინ მისცა ხვანთქარმა სიმრავლენი სპათანი აზრუმელნი და ტრაპიზონელნი, წარმოვიდეს და მოიწინნეს სატყეპელას:

ხოლო გურიელმან ვერღარა უძლო წინა განწყობა მათი სიმრავლისგან სპათასა, მაშინ წარავლინა მოციქული ხევეწნად დადიანისა, და მისცა სისხლი განტეგებისათვის ასულისა მისისა, ფლური ათასი, და შერიგდენ დადიანი და გურიელი: ხ<sup>3)</sup> გიორგი, მზერობელმან იმერეთისამა, მოაწვია სახლა თ<sup>4)</sup>სსა ჯავახ ჳილადე, და დალატითა მოკლა იგი. მაშინ იწეინა ესე<sup>5)</sup> საქმე გურიელმა და დადიანმა, და მივიდეს და დაიხურეს საჯავახო, და განიუგეს, ნახევარი დადიანმა დაიხურა, და ნახევარი გურიელმა: ამისა შ<sup>6)</sup>დ წარვიდა დადიანი ნადირობად, და ჯაიანმა შეაძგურა ცხენი, და მოკლა დადიანი, და დასკეს ძე მისი უხუცესი გიორგი დადიანად:

მაშინ გურიელმა გიორგიმ გარდაბირა უმრწემესი ძმა მისი მამია, ესე მოიუენა გურიას, და შერთო გურიელმა დაჲ თჳსი ცოლად მამიას, ძეს დადიანისსა: ხ<sup>7)</sup> ულაშქარ გურიელმა, წარვიდა ლაშქრითა, და მივიდა ზუგდიდს, და მუნ შემოება დადიანი, და გაემარჯვა გურიელსა, და წაროტეს დადიანი, და დასვა დადიანად მამია, და წარვიდა გურიელი სახედ თჳსად, მაშინ დადიანმა გიორგიმ შემოიყარა სპანი აფხაზთანი, და წარმოემართა: და კ<sup>8)</sup>დ მოუვიდეს ჳიქნიცა შეწევნად, და ჩერქეზნიცა:

მაშინ ითხოვა<sup>9)</sup> გურიელმა ჯარი დადიანსა მამიას: და ეწეენენ ურთიერთარს: კ<sup>10)</sup>დ გაემარჯვა მამიას, და ივლტოდა გიორგი დადიანი: ხ<sup>11)</sup> დადიანი იგი<sup>12)</sup> მოაჴკე ექმნა მზერობელსა იმერეთისასა გიორგის: მაშინ აღუთქვა შეწევნა მზერობელმან იმერეთისამან: რ<sup>13)</sup> ჟამსა.

1) ბარ—ში: ყუეს.

2) ეს სიტყვა არ არის ქარ. ცხ—ში.

3) ამ სიტყვას დედანში აშიიზე შენიშვნა აქვს: სთხოვაო.

4) ბარ—ში: გიორგი.

ამას ესგა ცოლი გიორგის, მზერობელსა იმერეთისსა, ასული ჩერ-  
ქეზის ბატონისა: და კ'დ ჭევანდა გურიელსაცა მეორე და მისი  
ცოლად, და კ'დ მესამე დაჲ ამათი იყო გაუთხოვარი სახლსა შ-  
ნიერეთის მზერობელის გიორგისსა, რომელი აღეზარდა მათ: და  
ესე უმცირესი ასული ჩერქეზის ბატონისა ჰსთხოვა დადიანმა გი-  
ორგიმ მზერობელსა იმერეთისსა: მაშინ აუწვა საქმე ესე გურიელ-  
სა, და მან ესრეთ უზასუხა: ვინათგან დადიანსა ჰნებავს გაერთება  
ჩვენა, მომტეს საუბატონო და სისხლი დისა ჩემისა განტყვებისა-  
თჳს, ვ'ა მე მივეც სისხლი განსტყვებელად დისა მაგისისა, და  
იუოს მშვიდობა ჩვენ უოველთა შორის: და იქმნას დადიანი მოყუ-  
რე და ჭვისლი თქვენნი და ჩემი: მაშინ დაურთო ნება, და აღუთქვა  
მიცემა სისხლისა გურიელსა დადიანმა: ხ' 1) აჩვენდა თეთრი, და  
მისცა გირაოდ ხოფი, რომელიცა სისხლი გურიელს მიეცა, ეგუ-  
ოდენისა მიცემა აღუთქვა: და იმის გირაოდ დაუღვა ხოფი, და  
მაშინ მისცეს ასული იგი ჩერქეზის ბატონისა, და გაერთნენ სამნივე:

ხოლო ჰსცნა რა საქმე ესე მამია დადიანმა, იგიცა ლმობიერ  
იქმნა უხუცესობისათჳს ძმისა თჳსისა, დაურთო ნება და დაანება  
დადიანობა: მაშინ მამია დადიანს მისცეს საჩხოდ ლომკაცის კიდა-  
ძისეული და რევანოზისეული, და ესრეთ შეითვისნეს ურთიერთ-  
არს, და იქმნა მშვიდობა სამთავე საბატონთა შ-: ხ' სცნა რა ესე  
დათულიამ, ბიძამ დადიანის გიორგისამან, შემოიყარა საჯავახოელი,  
და წარვიდა სალაღატოდ დადიანისა გიორგისა: აგრძნა საქმე ესე  
დადიანმა და ვერღარა უღალატა, და წარვიდა საჯავახოს დათულია:  
ხ' დადიანმა და მზერობელმა იმერეთისამან შეუთვალა გურიელსა და  
აუწვა დალატი დადიანისა, და მიუმცნეს ესრეთ: საჯავახო შენთჳს 573  
დაგვინებებია, და დათულიას უღალატეო:

ხოლო გურიელმა უღალატა და შეიპურა დათულია, და და-  
ბატუვევა უზურგეთს<sup>2)</sup>, და თვით დაიპურა საჯავახო: მაშინ შეუთვა-  
ლეს გურიელს სიკვდილი დათულიასი, და გურიელმა არ მოკლა,  
ესრეთ შუთვალა, შენის სახლის კაცს მე არ მოვეკლო, შენ მოკადო:  
და მერმე ამათ გაგზავნეს კაცი, და მოაშთვეს იგი: ამისა შ'დ მოკ'და

1) ქარ. ცხ—ში: რამეთუ.

2) უნდა იყოს: ოზურგეთს.



დადინი გ-ი, და კვალად დაიპყრა მამია დადინმა: ხ- დაშთა დადინს ძე ერთი, რომელსა ეწოდა ჯეონ, მამინ განირისხა ღ-თი მამია დადინმა, წართვა ღედას მისსა, და წარმოიყვანა ურმა იგი, და შხუთის ციხეში დაატყვევა, და იუო ურმა გამოუცდელი<sup>1)</sup>, და ვერ გაუძლო ტყვეობასა, შეწუხდა ურმა იგი განმორებისათვის ღედისა თვისისა, და გარდმოიგდო თავი თვისი ციხისა მისგან, და ესრეთ აღესრულა იგი:

ხ- ჟამსა მას შინა შეითქვნეს მეფე ქართლისა ლუარსაბ, მპყრობელი კახეთისა ლეონ და ათაბაგი ქაიხოსრო: ამით შეკრეს ზირობა, და დაუწიეს რბევა და ოკრება ქვეყანასა ეიზილბაშისსა ადრბაგანსა: მამინ განუდგა შაჰთამაზს მპყრობელი შირვანისა ასანბეგის შჯლი დაფრიშ მჰჰმად: მამინ შაჰთამაზ შემოიკარა სიმრავლენი სპათანი, წარმოვიდა და წამსავე<sup>2)</sup> მოიწია უარაბადს, მამინ წარავლინა კაცი, და შეუთვალა ლევანს, მპყრობელსა კახეთისსა, და გარდმოიბირა იგი: და მივიდა ლევან შაჰთამაზთან: და იუო განდგომილ დაფრიშ მჰჰმად, ძე ასანბეგისა, რ- ჟამსა მას ოდეს ეპყრა შაჰისმაილს შაქისი: მას ჟ-ა მიუკდა ბატონი ლევან ასანბეგს, და იავარჰუო შაქისი, და მოკლა ასანბეგ: ამისა შ-დ მოიუყუნეს ძე მისი დაფრიშ მჰჰმად, და გააბატონეს შაქელთა, და მტერ იუუნეს ურთაერთარს დაფრიშ მჰჰმად და ბატონი ლევან:

ხოლო შაჰთამაზ გაუზახს ჯამქარი თვისი შირვანსა ზედა: მამინ დაფრიშ მჰჰმად შეიყარა სპა თვისი, დაესხა თავსა, და მოსრა მრავალი ჯარი შაჰთამაზისა, და გამოაქცინნა იგინი: ქ-ეს აქეთ, ჩიუმკ:

474

ხოლო შაჰთამაზ აღიყარა სპითა ურიცხვითა, და წარვიდა შირვანს, და მისწერა შაჰთამაზ წიგნი დაფრიშ მჰჰმადს მისჯვად მისთანა, და აღუთქვა არა მოხსენებად ძვირსა, ა-დ მანიჭებად მრავლისა ჰატევისა, ხ- მან არა ისმინა მისი, და უფროსად განამარცხებობი, და ეგო სიმტკიცესა ზედა:

მამინ წარავლინა ბატონი ლევან სპითა მრავლითა მას ზედა, და მივიდეს რა, შაქისი მოაოკრეს, და იავარ ჰევეს ს-დ შაქისი, და

<sup>1)</sup> ქარ. ცხ-ში: გამოცდელი.

<sup>2)</sup> ეს სიტყვა არ არის ქარ. ცხ-ში.

გარე მხადგეს<sup>1)</sup> მას, რასა შა იყო დაფრეშ მამად, და იყო ხანს რადენსამე, და ვერდარა უძლო გამაგრება, და დამით განვიდა ციხის მისკან: ხ<sup>2)</sup> ჰსცნა რა ბატონმა ლევან, დევნა უყო, მიეწია და შაიბნეს, და გაემარჯვა ბატონს ლევანს, და მოკლეს დაფრეშ მამად, და შემოიქცა გამარჯვებული, და მოართვა თავი დაფრეშ მამადის შაჰთამაზს: ხ<sup>3)</sup> უყო წყალობა მრავალი ბატონს ლევანს, და წარმოვიდა სახილ თვსად კახეთს:

მაშინ შაჰთამაზ წარვიდა ეარაბადს, და შ<sup>4)</sup>დ მცირედისა წარმოემართა კ<sup>5)</sup>დ ტფილისსა ზ<sup>6)</sup>ა, და ქმნა მრავალი ბორბოტი, მოაოკრა ს<sup>7)</sup>დ ტფილისი, და აღიღო ციხე ტფილისისა, და შეაყენნა მცველნი თვსნი, და ვერა რა ავნო მეუფესა ლუარსაბს, რ<sup>8)</sup> ჟამსა მეფობისა მისისასა არა მორჩილ ექმნა უიზილბაშთა, არცა ოსმალთა, და მრავალი ჭირი შესჩვენა ორთავე, და არა დაამონა უსჯულთა საქართველო სახარკოდ: მაშინ შაჰთამაზ ინება მოუვრობდა ქაიხოსრო ათაბაგისა, და არა ჰყვანდა ასული ათაბაგისა: მაშინ ოთარს შაღიკაშვალს გამოართვა ასული, რამეჯა იყო მეუფისა<sup>9)</sup> ათაბაგისი, და მას წალ წარუგზავნა შაჰთამაზს, და მან შეირთა იგი ცოლად, და დიდად საყვარელ უჩნდა ქალი იგი, და მაერითვან იყო ფ<sup>10)</sup>დ<sup>11)</sup> კეთილის მეფულ ათაბაგისა:

ჰსცნა რა ესე მეუფეა ლუარსაბ, შეაყარა ს<sup>12)</sup>ა თვისი, და მიუგადა<sup>13)</sup> ათაბაგისა, და წარუღო თემნი და დაბანი მრავალნი, აოკრა და წამოკადა გამარჯვებულა: ხ<sup>14)</sup> ათაბაგმან ქაიხოსრო მიუმცნო ესე უოველავე შაჰთამაზს, რ<sup>15)</sup> მას ჟამსა წარმხსრულაყო მტერობად ათაბაგისა აზრუმის აჟა ისკანდარ, და აუწია იგიცა შაჰთამაზს: 575  
ქ<sup>16)</sup>კს, სმდ:

ამისა შ<sup>17)</sup>დ ხვანთქარა სულთან სულეამან გამოვიდა, და ყაენს ჩაუდგა, კარი აღაშენა და უემობრუნდა, და ბასიანს მოვიდა<sup>18)</sup>: მაშინ ყაენი შაჰთამაზ შეაყარა სიმრავლენი ს<sup>19)</sup>ათანა, და წარმოდგა, და

<sup>1)</sup> ქარ. ცხ—ა და ბარ. უმატებენ: ცახესა .

<sup>2)</sup> ქარ. ცხ—ში: მოყვასი .

<sup>3)</sup> ქარ. ცხ—ბა და ბარ. უმატებენ: მრავლისა .

<sup>4)</sup> ქარ. ცხ—ში: მოუბდა .

<sup>5)</sup> ქარ. ცხ—ში: მივიდა .

მოვიდა არტანს: მაშინ გაგზავნა შაჰთამაზ ძე თ-სი მირზა ისმეილ კარს, და დაიპყრა კარი, აღიღო ციხენი და სიმაგრენი, და რომელნი იყვნეს უმანი ხვანთქრისანა, მოსრნა ჰიროთა მახვილისათა, და განსდევნა იგინი, და თვით დაიპყრა კარი<sup>1)</sup>:

ხოლო ვინცა იყვნეს განდგომილნი ათაბაგისნი, უფელნივე მოსრნა<sup>2)</sup> ჰიროთა მახვილისათა, და აღიღო ციხენი და სიმაგრენი მათნი, და შემუსრნეს წმიდანნი ეკლესიანნი, და მრავალნი ხატნი და ჯვარნი, და დაამონნა ურჩნი და განდგომილნი ათაბაგისნი, და მივიდეს ომანი, და შერმაზანი, და ივჯუს, განდგომილნი ათაბაგისნი: ხ-ათაბაგ<sup>3)</sup> შეიპყრა და მკვლელ ექმნა ივჯუს<sup>4)</sup> და შერმაზანს, და მისცა მამული მათი ათაბაგსა: და რაჟს განაკო საქმე მუნებური, მაშინ უკომბრუნდა ეყენი ბოროტისყოფად ქართლსა ზ-ს სპითა ურიცხვითა, ჩამოვლო თრიალეთი, და იავარ ჭყო: წარმოემართა საბარათიანობედ, და მოაქრა იგიცა: მაშინ მიადგა ციხეს ბისთვისისსა, და ვერა აღიღო, და აღიღო<sup>5)</sup> ნიჭი დადძალი მეციხოვნათა, და მოიბირნა იგინი, და დაანებეს ციხე: და რომელნიცა იყვნეს ბარათიანნი ციხესა მას შ-ს, არღარა დაინდო, რომელნიმე ამოსწევდნა, და რომელნიმე შეიწყალებნა, და დააყენნა მამულსა თ-სსა ზედ, სხგანი მრავალნი ტყვედ ჭყო:

მაშინ მეფემან ლუარსაბ ვერღარა შემოიკრიბა სპანი თ-სნი, რ-ფრად მოსურნე იყო წინაგანწყობად ეიზილბაშთა, და ვინათგან ჯარი არღარა ჰქუანდა, ესრეთ იყო ჩუეულება მისი, მცირითა კაცითა ზედ დაესხმოდა თარეშთა ანუ სიმაგრეთა შ-ს, და ესრეთ მოქმედებოდა მრავალნი ეიზილბაშნი ამოსწევდნა: ხ-შაჰთამაზ მივიდა გორს, და აღიღო ციხე წედისისა, ციხე ძალათ აღიღეს, და ვერის ციხე ნებით მისცა<sup>6)</sup> ფარსადან, და უვნებულად ციხოვანნი მოჩინებ იქილამ, და მიადგა ციხესა ატენისსა, რომელ არს თავსა სცვიოსისსა<sup>7)</sup>, რ-მას შინა იყვნეს დედა და დაჟ მეფისა ლუარსაბისი, და

<sup>1)</sup> აქ ქარ. ცხ-ბა და ბარ. უმატებენ: და ხვანთქარი წავიდა.

<sup>2)</sup> ქარ. ცხ-ში: მოხწყვიტნა.

<sup>3)</sup> ბარ-ში: შახთამაზ.

<sup>4)</sup> ბარ-ში: ივჯუს.

<sup>5)</sup> ბარ-ში: აღუთქა.

<sup>6)</sup> ქარ. ცხ-ში: მოსცა.

<sup>7)</sup> ქარ. ცხ-ში: სიცივისისა:

სხვანი მრავალნი ჟაღაბნი თავადთანი, ამისთჳს გარედამ უაენის ლაშქარი შემოადგა, და შიგნიდამ ქართუელნი: დაუწიეს ერთმანეთს ცემა და ბრძოლა, და მრავალი ეიზილბაშნი დაიკოცნენ, და ციხის აღება გაძნელდა: ამისთჳს რომე არც სიბა მიეტანებოდა, და არც შეეტხრებოდა, და არც სით თოფი ესროლებოდა: და თათართ ერთი კავთისკეული ფარეში მეფის ლუარსაბის დედისა ბეთიაშვილი დაიჭირეს, და სიკდილის შიშით იმან უთხრა, თუ არ მამკლავთო, ციხეს ავაღებინებო, და ამათაც უგნებელობის ფიცი უთხრეს: და იმან ეს ამბავი უთხრა, ჭის წყალი დალეუიაო<sup>1)</sup>, და ჩრდილოეთისაკენ მომცრო წყალი ჩამოუდისო, და იმ წყაროს მისაპარავი გზა აქსო, გასწავლიო და ის დაუჭირეთო, და ღონე გაუწედებისო, და ციხეს მოგცემენო:

იმ წელის გზა ასწავლა, ეიზილბაშთ წყალი უკუუჭრეს<sup>2)</sup>, ციხიანი მშველელი ადარსით გაუჩნდათ, და უწელობამაც ძალი უყო, და მრავალნი ეიზილბაშნი და ქართუელნი იმ ციხის აღებაში ამოსწიდენ, და ციხე აიღეს: დედოფალი ნესტანჯან<sup>3)</sup>, დედა მეფის ლუარსაბისი, და დაჲ, და მრავალნი სხვანი ჟაღაბნი თავადთანი:

ქკს, სმდ: მეფის ლუარსაბის დედა და დაჲ ქვევითი წარახეს ციხითგან ზედა ველამდის<sup>4)</sup>, და მერმე მეაქლემეთ მისცეს, და წარიუყანეს: მეფე ლუარსაბ ხან აჩაბეთის სიმაგრეში, და ხან იმერეთს იყო: მაშინ წარმოსტევიანა ციხე იგი ატენისა, და უკენი აიყარა, და უარაბაღში წავიდა, და წარიუყანხა უმრავლესნი ტყვეთანი<sup>5)</sup>:

ხოლო ესმა რა საქმე ესე მეფესა ლუარსაბს, მაშინ წარმოუდგა უკანა ეიზილბაშთა, და ამოსწვიდა მრავალნი თათარი, და წართვა ურიცხვი ალაფი, და ვერდარა წართვა დედა თჳსი, და არა მივიდა შაჰთამაზ ერევანს: მაშინ ჰსცნა დედამან მეფისა ლუარსაბისმან გაუპატოკება თავისა თვისისა, ამისთჳსცა რომელნიმე იტყუან,

<sup>1)</sup> ბარ—ში: დალევიათო.

<sup>2)</sup> ბარ—ში: უკუუჭირეს.

<sup>3)</sup> ამ სიტყვას დედანში აშიაზე შენიშვნა აქვს ტექსტის ხელით: „ნესტანჯან მწერაჲ“.

<sup>4)</sup> ქარ. ცხ—ში: ყელამდის.

<sup>5)</sup> უკანასკნელი ოთხი სიტყვა არ არის ქარ. ცხ—ში.

577 შესვაო წამალი სსსიკ<sup>1</sup>დინე, და მოიკლა თავი თვისი, და არა შეამთხვია თავსა თ<sup>2</sup>სსა საქმე უჯერო: ხ<sup>3</sup> რომელნიმე იტყვან სსსჯე-ლითა და უპატიობით აღესრულა:

ხოლო უემოიქცა მეფე ლუარსაბ ფ<sup>4</sup>დ მწუხარე, და წარვიდა შაჰთამაზცა ადგილსა თვისსა, და დასვა ხანები ყაზახს, შამშადილს: და დასვა სულთანი განჯას, და კ<sup>5</sup>დ ეპურა მათ ციხეცა ტფილისისა, და იყო ესე ყოველი, და რა ჯდა კელდებულნი განძისა სულთნისა<sup>1</sup>), და ყოველნი გარემონი ეიზილბაშთანი მიუწინა ციხესა მას ტფილისისასა, რათა არღარა იპურას მეფემან ლუარსაბ: ხ<sup>2</sup> მწუხარე იყო ფ<sup>3</sup>დ ესრეთ განძლიერებისათჳს უსჯულთათსა მეფე ლუარსაბ, სრული<sup>4</sup>) საქართველოს მ<sup>5</sup>ფეთა და მებატონეთა ზედა, ძველთა და ახალ-ზედ ნამეტავად ნაქები იყო: თავად სარდლად, მერმე მამაცად, და უხობით, ზურად გამცემად, სამართლის მომქმედად, და უმა მორჩი-ლი<sup>6</sup>), ცხენოსან ცეროსანი<sup>7</sup>), უშიშარი რაში, ამაყი, ქრისტიანის სჯულ-ზე მსგავრი, და ურუმთა და ეიზილბაშთ ნამეტავად მისგან ეშინო-დათ: და მეზობელნი ვითაც უმანი ასე ემსახურებოდეს, და სხვათა უმობის თქმა არა იკადრა:

ამისთჳს შაჰთამაზ უაენმა ხუთჯერ ამაზე ილაშქრა, და არას საქმით ვერც მოამშვიდა, ვერც მოკლა, ვერც დაიჭირა, ვერც შეიხვეწია: ამისთჳს რომე ცოტას შემოებმოდა, ამოსწევდა, და ბევრს უკუ ეფარებოდა, და დამით დაესხმოდა, და გზებზე წაეწეოდა, და მრავალს ნაწილებს იქმოდა: ხ<sup>1</sup> რომელნიმე ზემო აღწერილას მო-ცარებაჲ საქართველოსა: ვერ გაუძლო განებაჲმან მეფეს ლუარსაბს, ამისთჳსცა შემოიკრიბნა სპანი თვისნი, და დაუწყო კლამა და რბევა, და ამოსწევინა მრავალნი: და რაოდენიცა ეპურა მათ კერძონი, და ადგილნი საბარათიანო, იგი ყოველნივე წარმოართვა, და განდევნა, და დაიპურა რაოდენიცა ეპურა არენი და თემნი საქართველოსანი, თვინიერ ტფილისისა ციხისა:

შაჰვერდი სულთან, განჯის ხანი, ყაენს ამ ალაგების მტველად

<sup>1</sup>) ბარ—ში: განჯას მჯდომისა სულთნისა.

<sup>2</sup>) ქარ. ცხ—ში: სრული.

<sup>3</sup>) ქარ. ცხ—ში: ყრმა მოზრდილი.

<sup>4</sup>) ქარ. ცხ—ში: ვეროსანი.

დაეყენებინა, და რა მეფის ლუარსაბის ლაშქრის<sup>1)</sup> შეერა გაიგონა, 578  
მანცა არაის აქათი ლაშქარი შემოიყარა, და მეფეზე წარმოვიდა:

რა ესე შეიტყო მეფე ლუარსაბ, გორითგან გარის ვარხვნას  
მივიდა, იქიდგან შავერდი სულთან წამოვიდა, და მოვიდა ქართლად:  
და იმ დამეს მეფე ლუარსაბს სიზმარი ენახა: და მეორეს დღეს  
კ<sup>2)</sup> და საქართველოს თავადნი, და თავადთა შეილნი<sup>3)</sup>, და თავისი  
შეილნიცა<sup>4)</sup> მოკეო და ასრე უთხრა: სიზმარი ვნახე მართალი და  
ქეშმარიტად დასაჯერიო, რომ უსატილოდ ჩვენ გაკვიმარჯვებოთ, და  
ეიზილბაშნი გაიქცევიანო, და ამ რმში მე მომკვლენო, და ჩემს  
მომკვლელსაც ქართველნი მოჰკვლენო:

მაშინ ეგანდა მეფესა ძენი სამნი, სვიმონ, დავით და ვან-  
ტანგ: მაშინ უხუცესსა შეილსა სვიმონს კელი მოჰკვიდა, და ქართ-  
ველთ უბრძანა, კელმწიფობა ამისთვის მიმიცემიაო, და კიდევ ეს  
დირსაო, და შეილთაც ასე უანდერძა, უმფროსს ძმას დაემორჩილე-  
ნით, და ეგელას უბრძანა, და ფერკით აკოცეს, და მეფედ აკ<sup>5)</sup> ხეს,  
და ასრე ანდერძი დაუგდო, ჩემის სიკ<sup>6)</sup> დილით ნუ მოიშლებითო,  
და ნურც ჩემის სიკ<sup>6)</sup> დილის კმას დააგდებთო: რა ეიზილბაშნი გა-  
ლაკოთო, მასუკან მცხეთას მიმზარეთო: ჩემს გლოვა ტირილს და-  
ესსენითო, ქვეუნიის შენახვას გაფრთხილდითო:

რა ესე სიზმარი მეფისაგან გაიგონეს, სრულ<sup>4)</sup> ეგელანი ატირ-  
დენ, და ასრე მოახსენეს: რადგან მაგისტანს სიზმარი გინახავსო, ამ  
გზობით ნუ შეგვბმითო და უკუ ვეც<sup>5)</sup> ლნეთო: ეს სიტყვა მეფემ შორს  
დაიჭირა, და ასრე უზახუნა: დღეს აქამომდე<sup>6)</sup> ხვანთქარსა და ევენს  
ზურგი არ შევაქცაო, რით იქნებისო, რომ ახლა ერთს ვაჯარს  
პირი ავარიდო:

ქართველნი დიდად ეაჯნეს<sup>6)</sup>, მაგრამ მეფემ ლომ გუნებისამ  
ზრახვას სიკ<sup>6)</sup> დილი არჩივა: და რა სულთან შავერდი რაზმ წყობით

<sup>1)</sup> ეს სიტყვა არ არის ქარ. ცხ—ში.

<sup>2)</sup> ეს ორი სიტყვა არ არის ქარ. ცხ—ში.

<sup>3)</sup> ქარ. ცხ—ში: შეილები.

<sup>4)</sup> ქარ. ცხ—ში: სულ.

<sup>5)</sup> ქარ. ცხ—ში: აქნობამდისინ.

<sup>6)</sup> ქარ. ცხ—ში: ამ ორი სიტყვის მაგიერ: ბევრი ეხვეწეს.

579 მოახლოვდა, და არა ინდობა<sup>1)</sup> მეფემან ომი მიხლოვდა ზედა, და ჩა-  
ვიდა გარისს, და უთავა ქართველთა უხუცესი ძე თ'ნი სვიმონ, და  
მივიდა სვიმონ<sup>2)</sup> სპითა თვისითა მეწინავედ, და თვით მეფე უკან  
კერძო მღვთმარე იყო, და ახლდა თანა კ'ზი და ეპისკოპოსნი<sup>3)</sup>, და  
მოხუცებულნი ერისკაცნი<sup>4)</sup>, მოვიდეს ეიზილბაშნი, მაშინ მიეტყვა  
მათ სვიმონ, და სპანი ქართველთანი, ვ'ა ლომი განძვინებულნი,  
და იქმნა ბრძოლა ძლიერი, მაშინ მოეცა ღ'ისა მიერ ძლევა ქართ-  
ველთა, და ამოსწვიდნეს ურიცხვნი სპანი თათართანი, და წარიქ-  
ცივნეს ივინი, და იულოდეს: და დევნა უევეს უკანა მათსა და  
დაანქრინეს, რ' ვერღარა უძლეს ზოგად წარსლვა, ა'დ დასწვიდნეს  
ურთიერთარს, და ვიდოდეს შეცთომილნი დეფე უშენთა, და ტყვე-  
თა მიმართ, და ერთკერძო წარიულოდა სულთანი იგი შავერდიბეკ:

ხოლო მაჰმად სულთან სპითა თ'სითა შელტოლვილიყო ტყე-  
სა შინა შეშინებულნი, და ვერღარა ეძლო წარსლვა დღისით: მაშინ  
იხილა მეფე ლუარსაბ შვირქელთა კაცითა, შემოუტოვა მეფესა, და<sup>5)</sup>  
განმეხდეს ძალითა ღ'ისათა მეფე და მისთანა მუოფნიცა ეპისკო-  
პოსნი, და მოხუცებულნი ერისკაცნი, და იქმნეს ვ'ა ჭაბუკნი: და  
კ'დ იქმნა ბრძოლა ძლიერი, და ჰსძლო მეფემან და წარიქცივნეს  
ივინი, და მოსწვიდნეს მრავალნი ეიზილბაშნი:

ხოლო მეფემან იხილა მაჰმად სულთან, და არა აქენდა ორ-  
ლი კელთა, რ' შეემტვრია კაცსა ზედა, და განაფიცხა ტაიჭი თვისი  
მეფემან, შეაბეკრა ცხენსა მაჰმად სულთანისასა, და დაანარცხა მი-  
წასა ზედა, კ'დ მიეტყვა სხვასა: რ' ყოველივე საბრძოლელი ო-  
რადი დაემტვრია<sup>6)</sup> მეფესა, და იბრძოდა ცხენითა თვინიერ საჭურ-  
ველისა, და რა მისდევდა სხვასა ეიზილბაშსა, იყო რამე თხრილი,  
და დანახეთქი მიწისა, და შთაუგარდა ფერკი ცხენსა მეფისასა, და  
წარმოექცა ცხენი მეფესა: მაშინ მოუკდა ეიზილბაში ერთი, სახე-  
ლით ზაქირ, იკადა მახვილი, ჰსცა თავსა მეფისასა, და ჰსწულ<sup>7)</sup>

1) ქარ ცხენი: ინება.

2) უკანასკნელი სამი სიტყვა ბარ—ში არ არის.

3) ეს ორი სიტყვა არ არის ქარ ცხ—ში.

4) ბარ. უმატებს: რა.

5) ქარ. ცხ—ში: ხოლო.

6) ბარ—ში: დაემსხვრია.

სსიკ<sup>1</sup>დინედ, შეჯდა ცხენსა მეფისასა, და იკლტოდა: ჰსცნეს რა ქართველთა, დევნა უეკეს ძლიერად, და მიეწიკნენ, და მოკლეს იგიცა, და სულთან მაჰმად, და სხანი მისნი ეოველნივე ამოსწევიდნეს:

მაშინ სვიმონს გამარჯვებოდა ძლიერად, და ჰსდევნიდა სულთანსა განძისასა შევერდის, და სრვიდეს სხათა მისთა, ვა მხალთა მდელთათა: და აუწეეს სვიმონს საქმე ესე, და მუის შემოიქცა, და მოვიდა მეფესთანა, და მწუხარე იქმნა ფ<sup>2</sup>დ, და წარვიდეს ეიზილბაშნი განძისა, და დაიპურნა სვიმონ ალაგნი საქართველოსანი ეოველნავე, და იტოცხლა მცირესა ხანსა, და წელულებიის მისგან<sup>1</sup>) მეფემან ლუარსაბ მასკე შინა წელულებასა მიიცვალა, ვა<sup>2</sup>) წმიდა მოწამე ვახტანგ და დავით მეფე, და აღიდეს წმიდა გვამი მისი, და დამარხეს სამარხოსა თჳსსა მცხეთას, დ<sup>3</sup>თიჲ აღმართებულსა სვეტსა ცხოველსა, და იქმნა გლოფა და მწუხარება ქართველთა მიერ: ქკს, სმე: იქეს აქეთ, ჩიფი<sup>3</sup>):

და დაჯდა მეფედ მამისა წილ სვიმონ: და იყო უამსა ამას შინა კ<sup>4</sup>ზი ნიკ<sup>5</sup>ზ: მაშინ წარიუყანეს სვიმონ, და აკ<sup>6</sup>ხეს მეფედ მცხეთას, და მცხეთით გორს მივიდა, და ქალაქი ეიზილბაშთ ეჭირა, და გარეშე კაცნი მეფეს სვიმონს ემისახურებოდენ: მაშინ დაემზახლა მეფე სვიმონ კასსა ბატონსა ლევანს: და მოსცა ლევან ასული თ<sup>7</sup>სი ნაშობი შამხლისა ქალისაგან, და წარმოიუყანა იგი მეფემან სვიმონ, და ჰევეს ქორწილი სახელაგანი, და ეპურა მტკიცედ საქართველო:

ქკს, სმზ: მუხრანის ბატონის ბაგრატის შვილი არჩილ დაიჭირეს თათართა, აღიდრა მეფე სვიმონ მტერობად და შურად ეიზილბაშთა, და იკრებდა სხასა თ<sup>8</sup>სსა სვიმონ, რათა აღიღოს ციხე ტფილისისა: ესმა ესე ამბავი ნაზირის მტველს ურახბადის ბატონს, და იმანცა არეზის წყალს გამოღმართი ლაშქარი შეიყარა, და ქალაქს მოსაშეველებლად წარმოვიდა:

მაშინ ესმა მეფესა სვიმონს, შემოიყარა სხანი საქართველო-

<sup>1</sup>) უკანასკნელი საჲ სიტყვა არ არის ბარ—ში.

<sup>2</sup>) ქარ. ცხ—ბა უმატებს: იგი.

<sup>3</sup>) უნდა იყოს: ჩიფი:



სანი, და ჩამოვიდა ციხე დიდს, და მიუწერა ცოლის ძმისა თისსა კახიბა ტონის შვილს გიორგის, და ითხოვა მისგან შეწევნა, და წარმოვიდა გიორგი სპითა თვისითა: და შემოყუარა ციხე დიდს: მაშინ სტყეს საჭმე ესე სპისთა, შემოიყარნეს სპანი მრავალნი, და წარმოკმარნენ ტფილისს, რა ჟამის მას უშენ და კუერ იყო კატაგან ხუნანი და ღვინჭრობი, და ვაშლყოფანი: მოვიდნენ და დადგნენ დადღუჭას ღამეს ერთსა, და შემოვიდეს ციხესა ტფილისისასა, რა მათ ეპურა ციხე იგი ჟამის მას, ქართველთ ხანდაგი გაუთხარათ, 581 ამისთვის რამე არამც მოხანკრით ეიზილბაშნი თავს არ დაესხნ, და ტფილისით წარმოვიდეს უკრძნობელად, და მიმართეს ციხე დიდს:

ხოლო მეფემან წინათვე უკრძალად გამოაყენა გერმანოზის შვილი სოფელსა შინა მუნხთგვერდისასა, კარდაკად დღესასწაულსა აღდგომისასა, და გოგულებოდა კად მუნ ჩასულად, და შეკრულად გზობისა: და ამას შინა უკრძნობელად შეუვლეს ეიზილბაშთა მუნხთგვერდი: მივიდეს და სადაცა ხანდაგი იყო, ხანდაგატაგან<sup>1)</sup> ჩამოკლეს: და ის ხანდაგი გასწორეს: შეუკრძალ<sup>2)</sup> დაესხნეს დღესა აღდგომისასა, აქათ ქართველთა და იქით ეიზილბაშთა რაზმი დააწვეეს, და ეიზილბაშთა მეწინავეში და ქართველთა ლაშქარში რამი და ცემის განშორდა, და ქართველნი ნამეტრავად თავ გამომეტრებით იბრძოდეს, და მრავალი ეიზილბაში მოკლეს: და რა განჯის ხანმა ასრე თავ გამომეტრებით ქართველთა რამი ნახა, ეიზილბაშთა ასე უთხრა, გზა შორსა გვაჭესო, რამი გავიქცეთო, და ვერსად გავატანთო, უკან დაგვეწვიან და დაგვეკლენო: მუნხანათობით სიკდილს ესევე ვამჯობინთო, რამი ძალმიდემით რამში ამათვე შევაკვდეთო, ვეღვამ ვაღა ვაღა დაიძახეს, და შეუტოვეს კმალ დაწვდილთა, და იქილამი ქართველთა წამოშობინეს, და რეგინთვე კარგათ იუვნენ, მაგრამ ეიზილბაში უფრო ბევრი მოკლად, და გაქცევასაცა აპირებდნენ: და კახის ჭარბი შეჭრა ტოკილი და თავსცემის, რამი ბატონიშვილი გიორგი მოკლესო, რამისა<sup>3)</sup> აღარა იხადვლეს რა: მკლარი საომართ გამოიტანეს, და

<sup>1)</sup> ქარ. ცხ-ში: ხანდაგთან.  
<sup>2)</sup> ხარ-ში: შეუკრძალ, შეუკრძალად.  
<sup>3)</sup> ქარ. ცხ-ში: ამისა.

ომი და ბრძოლა<sup>1)</sup> გაუშეეს: ამაზედ უიზილბაშთ დრო დაიცეს, მოშ-  
ლილთა და შტირალთ ლაშქართ კიდევ შემოუტყვეს, და უიზილბაშთა  
გამირჯვეს, და სხვანი მრავალნი თავადნი და აზნაურნი, და მსა-  
ხურნი ქართლისანი, და უფროსდა მოსწვეილენეს, და დარჩათ ძლევა  
უიზილბაშთა, და შეიქცეს ქართველნი:

ქკს, სმთ: იქეს აქეთ, ჩუთ<sup>2)</sup>: იმავე დამეს შავერდი სულთან  
ქალაქს შევიდა, და მეფე სვიმონ თავისის ლაშქრით გორს მივიდა:  
და კახი ბატონის შვილი გიორგი მოკლეული ბატონს ლევანს მიუ-  
ტანეს: შეიქნა გლოვა და ტირილი ბატონისშვილისა გიორგისა- 582  
თხს, ერთობილად კახთა და ესრეთვე გორს ნესტან დარქვან დე-  
დოთაღს საყვარლის ძმის გიორგის ბატონის შვილის მოკვდა  
გაუმეღავენეს, და საქართველს ჯარი მოვიდა, იტირეს იგლოვეს,  
და საომრცედ ბატონი დედოფალი, ქართლის თავადები ჯალა-  
ბობრივ კახეთს მამის მისტირებულად და საყვარლის ძმის სატირ-  
ლად ალავერდს მივიდნენ, და ორმოცამდინ მამასთან იყო, იტირა,  
იგლოვა, და ისრევ ქართლს მოვიდა:

ამავე წელსა, და ქკნსა, მუხრანის ბატონის ბაგრატი<sup>3)</sup> შვი-  
ლი აშოთან მოკლეს თხოვლთა: ხ იყო უმრწემესი ძმა მეფისა  
სვიმონისი სახელით დავით, და შემოსწერა ძმისა თისსა მეფესა  
სვიმონს, და წარვიდა შავთამაზ უაენის კარსა: უაენი უაზმინს იყო,  
და რა დავითის მოსვლა კელმწიფეს მოახსენეს, დიდად იამა, და  
სრულ ბეგლარც, ვინც კარზედ იყო, წინ მიაგება, და უფროსი ერთი  
ბარათიანნი თან ახლდენ, და მისის ძმის მეფის სვიმონისაგან შე-  
მამწერალი იყო, ამისთს უფრო დიდად ხატეპეტეს, და შვილბობის  
რანუმი უბოძეს: და მეჯლიშშიგან უაენმან თხსსა სიახლოვეს დაი-  
სვა, და ვითაც კელმწიფეს ქვეშ მოუფინეს, და დორი დაუდვეს,  
და ზედ დასვეს: და მისნი თავადები მეჯლიშში დასხეს, და ალაგ  
ალაგ შუაში წაუსხდენ: და ცოტას ხანს უკან ჰგმო ღთი, და გა-  
თათრდა: და უწოდა სახელად დაუთხან<sup>4)</sup>, დაათათრეს და საკელმწიფო

<sup>1)</sup> ამ სიტყვაში ბ-ს შემდეგ ნახმარია ნახევარ ხმოვანი ასო ანტონ კათა-  
ლიკოზისა.

<sup>2)</sup> ქორონიკონი უჩვენებს 1561 წელს, ხოლო ქრისტეს აქეთსათვლითი 1570.

<sup>3)</sup> ეს სიტყვა არ არის ქარ. ცხ—ში

<sup>4)</sup> ბარ. უაატებს: და მისთანანცა.

იარაღი უოგელოვე რადცა<sup>1)</sup> უბოძეს, და მის თავადთა და აზნაურის შვილთა ხალათი, სახარჯო, ცხენი და იარაღი გაუკეთეს და უბოძეს, რაც ბატონეშათ მიეცათ, სრულ ცხრაათისის თუმნისა იყო: და ქალაქისა და სომხით საბარათიანოს მეფობა მისცეს, და რაყაში შვილთაბილი ჩაწერეს, და მესტუმრე თან გაატანეს, და დიდის ზატივითა და მორჯმით გაისტუმრეს: და წელიწადში თვითონ ნაზირის ხანს მეფის დავითის მცველად მოუყენებდნენ თავისის ლაშქარი ქალაქის ციხეში:

მაგრამ მეფე სვიმონ არ ეხსნებოდა, და სომხით საბარათიანოს არბევდა, და ქალაქის აღებას ცდილობდა, მაგრამ ვერ აიღო: კიდევ მეფემან სვიმონ ლაშქარი შეიყარა საქართველოს ცხენოსან ქვევითნი, და წარვიდა ბრძოლად დაუთხანისა: იქეს აქეთ, ჩუნის<sup>2)</sup>: მოვიდა, დაღა დიდვამს: სცნა რა ესე დაუთხან<sup>3)</sup> ქალაქზე წამოსულა სვიმონისი, იმანც<sup>4)</sup> სომხით ბარათიანნი, თათარნი და მოქალაქენი შემოიყარა, და ძმას საომრად მიეგება: ნახა რომ მეფის სვიმონის ლაშქარი ბევრი იყო: შეება დიდომს: იქმნა ბრძოლა ძლიერი, და მოისრნეს სპანი მეფისა სვიმონისნი მცირედი რამე: ხ' დაუთხანისა მოსწუდეს ორი ათასნი<sup>5)</sup>: ჰსიდიეს სპათა სვიმონისთა<sup>6)</sup>, და წარიქციეს დაუთხან, და მეოტი ისევ ქალაქში<sup>7)</sup> შემოვიდა: მაგრამ უარმანადუს ხალიუა რომე ეიზილბაშის სარდალი იყო, ჭკუა ნაკლები და ამაუი კაცი იყო, მეფეს დავითს არ დაუჯერა, და სამარტოოდ სახელს ეძებდა, მეფეს სვიმონს შეება, და ძალმიცემით და თავ გამომეტუბით ძალზედ იბრძოდა, და ბევრი ნავნებიცა ქმნა, მაგრამე თვითანც მოკლეს, და ჯარაც ამოუწვიტეს: ეს ამბავი დავით მეფემ უანს მასწერა, და ლაშქარი სთხოვა, იქმნა ბრძანება უანისა, და ჰასანბეკ უარმანლუ სარდალად უჩინეს, და დიდის ლაშქარით მეფეს და-

1) ქარ. ცხ—ში: რაიმე.

2) ბარ—ში: ჩუდა.

3) ბარ. უმატებს: და მოახსენეს.

4) ბარ—ში: ქალაქზედ მოსულა, ამანაც.

5) ბარ—ში: ზომა:

6) ბარ—ში უკანასკნელი სამი სიტყვის მაგიერ: და მისცა ღ'თნ ძლევა მეფესა სვიმონს.

7) ბარ—ში: ქალაქსა.

კითხვას მიაშველეს, დავით მეფემაც თავისი ლაშქარი შეიკრა, და მეფეს სვიმონზე გაილაშქრა: მეფე სვიმონ დიდომს იდგა, და შეიანებნენ: ქკს, სნე: იქმნა ბრძოლა ძღაერი, და მოხსრნეს სხანი მეფის სვიმონისნი მცირედნი რამე, ხ' დაუთხანისა მოსწედეს<sup>1)</sup> ორი წილი, და მეფესა სვიმონს მისცა ღ'თნ ძღევას, და წარჩქციეს დაუთხან მეოტი, და შევიდეს ცახესა ტფილისისასა მხოლოდ, და სხანი მისნი რომელნიმე მოხსრნეს და რომელნიმე დაიხურეს, მაშინ მოადგა მეფე სვიმონ ცახესა ტფილისისასა, და ეგონა მოქალაქენი მამაულებო: უაენის შიშით მოქალაქენი არ მოუვიდნენ, და ცოლპვილი იმათაც ციხეში შეასხეს, და ციხიდან შექნეს ბრძოლა<sup>2)</sup>, და თოფთა და ზარბაზანთ სროლა, და აღარც ბარათიანნი მოვიდნენ, და ციხიდანმეც კაცნი დაუხრცეს, და იდგნენ ჟამსა რაოდენსამე, და შეაწუხნეს ფრად:

ხოლო წარაგლისეს კაცი, და აუწუეს ამირ სხასაღარსა შაჭ- 584  
თამაზისსა უსეინ ბეგს შეწუხება თვისი დაუთხან, და ითხოვა მისკან შეწუკნა, მაშინ წარმოვიდა უსეინ ბეგ სხითა ურიცხვითა, და დამე შემოვიდა ციხესა შინა ტფილისისასა, და გერა ჭსრნა მეფემ სვიმონ მოსდგა მისი, და წარვიდა სამადლოს: ამას ზედა მოიცა ძალი, და განაღდა დაუთხან, განვიდა ციხით, და მივიდა სამადლოს:

ქკს, სნე: ეწუვნეს მეფე სვიმონ და დაუთხან ურთიერთარს, შეიქმნა ბრძოლა<sup>3)</sup> ძღაერი: მაშინ განდომნეს მეფე სვიმონ და სხანი ქართველთანი, და მისცა ღ'ნ ძღევას მეფესა და ქართველთა: კ'დ წარჩქციეს დაუთხან, და უიზილბაშნი მრავალნი ამოსწუვიდნეს, და უმრავლესნი დაიხურეს, და დევნა უუკეს: მაშინ ლტოლვილნი შეიხეკუნეს ციხესა შ'ა ტფილისისასა, და მივიდა მეფე სვიმონ, და ადგა ციხესა მას ჟამ რაოდენმე, და ვერა აიღეს, და წარვიდა გამარჯვებული, და აღესილი საშოგრითა მრავლითა:

ხოლო დაუთხან აუწუა საქმე ესე შაჭთამაზს, და მოაჯე იქმნა კ'დ შეწუვნად, მაშინ მიუმცნო<sup>4)</sup> შაჭთამაზ შამხალსა, რომელსა

<sup>1)</sup> ქარ. ცხ — ში: მოსწუვიტეს.

<sup>2)</sup> ამ სიტყვაში ბ-ს შემდეგ იხმარება ნახევარ ხმოვანი ასო ანტონ კათალიკოზისა.

<sup>3)</sup> ქარ. ცხ — ში: მომცნო.

ეწოდა ჩერქეზი, და სულთანს შაჰისისა და ვარაზაღუდთა, და გარემოთა ერთა ეზილბაშთა, რათა შემწე ეყონ დაუთხანს:

ხოლო შეიყარა სხანი ურიცხვნი, და მოვიდეს საზღვართა ქართლისათა, მაშინ წარვიდა უორღანაშვილი კახაბერი, და წინა მიეგება მათ განჯას, რ' ფ'დ ეშიშოდეს ეზილბაშთა მოსვლად საქართველოსა შ': ხ' ამან უორღანაშვილმან იტვირთა<sup>1)</sup> სისხლი მათი, და წინამძღვრად ექმნა მათ, რ' ვერ ძალედვით თვინიერ მისსა შემოსვლა საქართველოსა შინა:

მაშინ შემოიყარა მეფემან სვიმონ სხანი საქართველოსანი, და მივიდა თარცხის, რ' მუნ მდგომარე იყვნეს ეზილბაშნი, და იყვნეს ათგზის უმრავლესი ქართველთა, მაშინ მიეტყვნეს ქართველნი გულისთა სრულითა, და იქმნა ბრძოლა ძლიერი, და მიდრეკეს ეზილბაშნი ჰირველსავე კვეთებსა ზ'ა, განმკნდეს სხანი ქართველთანი მათზედა, სრვიდეს და იპურობდეს: ამას შინა მოუკდა მეფე 585 სვიმონ ერთსა ჭურვიდსა ეზილბაშსა, სცა ძლიერად ოროდითა და დაანარცხა მიწასა ზედა, და მოკლა იგი, და კ'დ სილაღითა მიეტყვა სხვათა, და განშორდა სხათა თვისთა<sup>2)</sup>, მაშინ იცნა იგი უორღანაშვილმან და უთხრა ეზილბაშთა, ესე არს მეფე სვიმონი:

ხოლო მათ მიმართეს, და მოურტუნეს გარე, და სიმრავლითა მათითა შეიპურეს<sup>3)</sup> მეფე სვიმონ: ქ'კს, სნზ: და ვერა სცნეს ქართველთა შეპურება მისი, ამისა შ'დ ჰქმნეს სახელი დიდი და იბრძოლეს, და მოსრნეს მრავალნი ეზილბაშნი, და ვითარცა ჰსცნეს შეპურება მეფისა, დამაშვრალნი ფ'დ სიფიცხლისკან ომთასა, იარაღი არღარა აქნდათ<sup>4)</sup>, უოველივე შეემუსრათ, მაშინ უკმოცადნეს ქართველნი, და წარიუვანეს მეფე სვიმონ და მიიუვანეს დაჭერილი ტფილისის ქალაქს, და დიდის ჰატვიით უენთან გაისტუმრეს უაზმინს, შაჰ-თამაზ უენთან<sup>5)</sup>: ხ' უაინმა დიდად ჰატვიცა, და მისცა საბოძვარი მრავალი, და აძულეს დატყეუბად ჰსჯულისა: ხ' მეფე-

<sup>1)</sup> ქარ. ცხ—ბა (გვ. 276) უმატებს: ტვირთი.

<sup>2)</sup> ეს სიტყვა არ არის ქარ. ცხ—ში.

<sup>3)</sup> ამ სიტყვაში პ-ს შემდეგ ნახმარია ნახევარ ხმოვანი ასო ანტონ კათალიკოზისა.

<sup>4)</sup> ქარ. ცხ—ში ამ სამი სიტყვის მაგიერ: რაც იარაღი აქუნდათ.

<sup>5)</sup> ეს სიტყვა არ არის ბარ—ში.

მან სვიმონ არა უსმინა მათ, ან მტკიცედ იყო სარწმუნოებასა ზედა, ამისთვისა განჭრისხდა უაინი, და წარავლინეს იგი, და ტევე ჰეკეს ციხესა შა ალამუტისასა:

ქკს, სდა: ზატონი ქაიხოსრო ათაბაგი, წლისა, ნა: თებერ-გალს, იგ: გათაუღებდა, მიიცვალა უაზმინს, ენკენასთვეს, კთ: დღე-სა სამშაბათსა, თ უამსა<sup>1)</sup>, მთვარესა, ბ:

ამსვე ქკსა, მუხრანის ბატონის ბაგრატის შვილი არჩილ შირაზს გაგზავნეს უაზმინიდან, დვინობისთვეს, კბ: დღესა ხუთშა-ბათსა<sup>2)</sup>:

ხოლო უამსა ამას შინა მიიცვალა კახი ბატონი ლევან: ქკეს აქეთ, ხეოფ<sup>3)</sup>: ქკს, სდგ:

და დაჯდა მის წილად ზირმშო ძე მისი ალექსანდრე და მან დაიპყრა კახეთი: ესე ალექსანდრე იყო ნაშობი გურიელის ასულისა: ხელიმირზონ და ხოსრო მირზა, ნაშობი შამხლის ასულისაგან, ზირველ მეფობასა ლევანისასა, ესენი ელიმირზონ და ხოსრო დედითაც კამო იყვნენ მეფის სვიმონის ცოლისა, და სამშობ- 586  
ლოდ ჰეკანდათ შამხალი, და ამ ორის გზითა და ზურგით უფროსს ძმას თავს არ უღებდა<sup>4)</sup>, სძულდებენ<sup>5)</sup>: და შდ სიკდი-  
ლასა ლევანისა განიყვნეს, კახნი რომელნიმე მიერთნეს ალექ-  
სანდრეს და რომელნიმე ელიმირზონს და ხოსრო მირზას: და  
არს ჩვეულება ესე კახთა ძველთაგან, და იქმნა შური დიდი ძმათა  
შ-ს: მაშინ წარვიდეს ელიმირზონ და ხოსრო მირზა და მივიდეს  
თორღას, ხ ალექსანდრემ შემოიყარა თჳსნი კერძნი კახნი, და წარ-  
ვადა მათზედა: და ვა მივიდა, ეწეუნენ ურთიერთასს, და იქმნა  
ბრძოლა, და მოიკლა ომსა მას შა ორნივე ძმანი ელიმირზონ და  
ხოსრო მირზა, და ძმისწულნი, და დაიპყრა სდ კახეთი ალექ-  
სანდრემ:

<sup>1)</sup> ბარ—ში: უამსა მეცხრესა.

<sup>2)</sup> ეს ორი პარაგრაფი მესხური დავითნიდან არის შემოტანილი ჩვენს ქრო-  
ნიკაში შემოკლებით (იხილე სამი ისტორიული ხრონიკა, გვ. 85).

<sup>3)</sup> ქარ. ცხ—ში: ჩეოფ.

<sup>4)</sup> ბარ—ში: უღებდენ.

<sup>5)</sup> ქარ. ცხ—ში: სძილდებენ.

ხოლო დაუთხანს ეპურა ტუილისი და საბარათიანო, და იჯდა დმანისს კეეს ციხესა შინა, და ცოლი მეფისა სვიმონისა დედოფალი ნესტან დარეჯან იყო კავთის კეეს, და ჰყვა ძე ერთი მცირე<sup>1)</sup>, რომელსა ეწოდა გიორგი: და ოდეს დაიდასტურეს ქსნის ერისთავმან და ამილახორმა ტყვეობა მეფის სვიმონისა, და სიკვდილი ცოლის ძმებისა მისისა, კახიბატონის შვილებისა, მაშინ განირისხეს ღთი, ჰსიძლია ანგარებამან და ვეცხლის მოყვარებამან, შეესივნეს დედოფალს ნესტან-დარეჯანს, და იაკარ ევეს საუნჯენი მისნი, და წარიდეს უოველივე, რაფა აქენდათ, მეფისა სვიმონისა და დედოფლისა ნესტან-დარეჯანისა, და მიმოაქენდათ უოველთავე დიდთა და მცირეთა:

რ იტყოდეს სიტყუასა ამას ერთგულნი ემანი მეფისანი, რომელსა აწცა იტყვიან ანდაზად, და არს სიტყუა ესე მაშინ თქმულა: ვაჟმე ბატონის სვიმონის საქონელო: და წარიდეს უოველივე საუნჯენი მეფისა და დედოფლისა ნესტან-დარეჯანისა: და იყო უმისა მის ამირ სპასალარი საბარათიანოსა ბარათაშვილი სანინო, კაცი ორიად კეთილი, და ესე არა მორჩილებდა დაუთხანს, რ იყო ერთგული მეფისა სვიმონისა, დღესა ერთსა მოვიდოდა იგი კოჯრის კერძოდ, და ვა შივიდა თავსა გელაიურისსა, შეემთხვია მუნ წინა უორდანაშვილი კახაბერი, რომელი მოუძღვა უიზილბაშთა, ოდეს 587 შეიპურეს მეფე სვიმონ: ხ ესე იცნა სანინომან მან ბარათაშვილმან კახაბერი იგი უორდანაშვილი, შეიპურა იგი და გარდაცოკლდეს მას გელაიურისსა, და მიგორეკდა უორდანაშვილი და იტყოდა თუთვე<sup>2)</sup> ლექსსა ამას: [უორდანას-ძე] ქარაფინდა, კელი ჰქურეს და გარდაფრინდა:

ხოლო კახსა ბატონსა ალექსანდრეს ესგა ცოლად ასული ამილახორისა თინათინ, და ესხნეს ალექსანდრეს ხუთ ძე, დავით, ერეკლე, გიორგი, კოსტანტინე და როსტომ, და ჰყვა ასული ერთი ნესტან, რომელსა ეწოდა დარეჯან:

ესე ნესტან-დარეჯან მიათხოვა დადიანს მანუჩარს, ძეს მამია დადიანისსა, და წარგზავნა მზითვითა დიდითა: ხ ძე მისი

<sup>1)</sup> ეს სიტყვა არ არის ქარ. ცხ—ში.

<sup>2)</sup> ქარ. ცხ—ბა უშიტეზს: სანინო.

ერეკლე ურჩეკქმს მამას მისს ალექსანდრეს, და წარვიდა სტამბოლს, მაშინ მიესმა შაჰთამაზს, განრისხნა და წარმოემართა, რ' ჰგონებდა განდგომილებას ალექსანდრესსა, და მოვიდა სპითა ურიცხვითა ყარაბადს: და შეწუნხა ფ'დ ალექსანდრე. მაშინ სახლთხუცესმან ჩოლაყაშვილმან მოიწოვა დონე რაჟმე, და ჰურქვა ალექსანდრეს და კახთა, უკეთუ იქმნას საქმესა მას ზედა სიმრავლე ცოდვისა, იყავნ ზოგად უოველთათ'ს, და მე განყარინო კახეთი რისხვისაგან შაჰთამაზისა: ხ' მისტეს უთავე დიდებულთა კახეთისათა კელითწერილი:

ხოლო ჟამსა მას გარდაცვალებულიყო ქაიხოსრო ათაბაგი, და იზურობდა ძე მისი მცირე მანუჩარ: მაშინ წინააღრჩევითა ჩოლაყაშვილის სალთხუცისათა წარავლინეს კაცი, და მიუწერეს დედის იმედსა<sup>1)</sup> ქაიხოსრო ათაბაგისსა ესრეთ, ვ'დ შალიკაშვილს ვარაზს ჰხებავს დალატი შენთ'ს, და ძისა შენისა მანუჩარისთჳს, რ' მაგას ჰხებავს დაზურობა საათაბაგოსა, და მოჰყავს ყაენი სპითა ურიცხვითა საათაბაგოსა ზედა, და აწ, უკეთუ ძალგიძს, შეიბყარ ეგე, და მოჰკალ, ვ'ნ ორგული და მკველელი ძისა შენისა, და არღარა მოყალს შაჰთამაზს, და წარვალს სახედ ოვისად, და უმეტესად მტკიცედ იზურობ ჰქვეყნასა მაგას: ხ' ესე დედის იმედი იყო ჰკუთით სულელი და უღ'თო:

ვითარცა ესმა საქმე ესე, ვერ გულისებდა ჰყო მზაკვარება იგი კახთა, და სარწმუნო<sup>2)</sup> ქმნილმან სიტყვასა მამს ზედა, შეიბყრა დალატად შალიკაშვილი ვარაზა, და მოკლა იგი და დასთხია სისხლი უბრალო, რ' ესე ვარაზა იყო ძე ოთარ შალიკაშვილისა. მრავალგვარად ერთგული და ნამსახური ქაიხოსრო ათაბაგისა, და ცოლის ძმა შაჰთამაზისა: 588

ხოლო ესმა შაჰთამაზს სიკ'დილი ვარაზასი, განჰრისხნა ფ'დ, მაშინ არღარა მოვიდა კახეთსა ზედა, ა'დ მივიდა რისხვითა საშინელითა სამცხეს, ამოსწუვიდა ს'დ სამცხე<sup>3)</sup> საათაბაგო, და ქმნა მრავალი ბოროტი, და წარავლინა კაცი ხვანთქართანა, და ინებეს მშვი-

<sup>1)</sup> ბარ. უმატებს: ცოლისა.

<sup>2)</sup> ეს სიტყვა არ არის ქარ. ცხ—ში.

<sup>3)</sup> ამ სიტყვაში რ-ს შემდეგ ნახშირია ნახევარ ხმოვანი ისო ანტონ კათალიკოზასა.



ღობისა უოფა ურთიერთარს, და განიუკეს ქვეყანა უა მას და შე-  
რიგდენ: მაშინ დარჩა წილად ხვანთქარსა იმერეთი, რდიში, გურია  
და საათბაგო ქარაღისა საზღვრამდე: დარჩა კარი საზღვრამდე  
აბოცისა და ერევანისა, და სომხითი საზღვრამდე, რომელსა აწ  
თურქისტანად უწოდენ, ვიდრე ბაღდადადმდე:

ხოლო შაჰთამაზ დიხურა ქართლი, კახეთი, ერევანი, ქურ-  
თისტანს აქათი, და მიერთგან იყო ურთიერთარს შს ერთობა და  
მშვიდობა, ვა ერთგულნი მოსაფნი მავმადისანი: ხ ბატონმა ალექ-  
სანდრემ წარაუღისა ძე თვის კოსტანტინე შაჰთამაზისათანა, და წა-  
რატანა ძღუენი მრავალი, და მოაჯე ექმნა ფად, და მიუძენო ურჩება  
ძისა თვისა ერეკლესი, რომელ ურჩებითა ჩემითა წარვიდა ხვანთ-  
ქართანა: მაშინ უსმინა შაჰთამაზ აჯა ბატონის ალექსანდრესი, და  
წარვიდა სამეოფისა თსისა, და თანა წარაევანა კოსტანტინე ერმაჲ  
მცირე მძევლისა მსგავსად: შდ ამისა გარდაჲდა მცირე რამე ხანი:

ქკს, სხდ<sup>1</sup>): დღეს სამშაბათსა, უაენი შაჰთამაზ მოკდა, და  
უსტაჯალუნთა და იოთამის შვილმა აღიხან სულთან აიღარ  
მირზას ბატონობა მოინდომეს: ჯარგანმა, შამხალ ავშართა, და  
ვინც მათი თმბტი იყო, მოუკდენ, აიღარ მირზა მოკლეს, უსტა-  
ჯალუნი ამოსწვიდეს, და ისმეილ მირზას გამოსაყვანად კანო  
გაკზავნეს:

589 ამასვე ქკსა, და ამასვე მანს კბ: შაჰთამაზის შვილი შაჰ-  
ისმაილი ტუვედ იჯდა ციხესა უაღუას, და გამოიფანეს დღეს სამ-  
შაბათსა: და ამასვე მანს, კვ: არდაველის ქალაქში მოვიდა: და  
კ<sup>2</sup> უაზმინისაგენ წავიდა<sup>2</sup>), და დასვეს უანად შაჰისმაილ, და შეუე  
სვიმონ აღამურტის ციხითგან გამოიფანა, უაზმითს მოაუკანინა, და  
საქართველოს ბატონობა მისცა, და მრავალი სხვა წუალობა დამარ-  
თა, საკელმწიფო მორჩულობა უოვლის ქარხნეპასაგან გაურჩავა:

რა ეს ამბავი ტფილისს ქალაქს მჯდომს მეუეს დავითს მოუ-  
ვიდა, იწეინა და ხვანთქართან ჩათუარა გაკზავნა, და ლაშქარი სთხო-

<sup>1</sup>) ბარ. უმატებს თანხავლ მესხური დავითისა: მარსა იე.

<sup>2</sup>) ეს პარაგრაფი აქამოდის დო წინა პარაგრაფი მესხური დავითის ქრო-  
იკიდან ირინ ამოღებული (იხ. სამი ხრონიკა, გვ. 86—87).

ვა<sup>1)</sup>: ამევე წელს ივნისს ათბაგი ვვარეუარე, და ძმა მათი ჰატრონი მანუჩარ, და ბიძაშვილი მათი, მუხრანის ბატონის არჩილის შვილი, ჰატრონი ერეკლე მგელციხეს წავიდეს ეანთან ელჩის გასაცხადად: ავ კარგად სამოცამდის კაცი იახლა, სამწუთ ღელეში დავდეთ: აცნობა ოლადის ქვაბიღამა ბედიანის შვილმა<sup>2)</sup> იასონ ვარაშვილს კოკოლასა, და მის ძმას<sup>3)</sup> ლაშქარასა, და მის ძმას<sup>4)</sup> გურგაქსა:

იახლეს თანა, დიასამიძის ელიას შვილი ავთანდილ და მისი ძმა შარმაზან<sup>5)</sup>: ამატაკის შვილი<sup>6)</sup> როსტომის შვილი ამატაკ და აბდუ-უაფარ: და მათი ძმისწული როსტომ: და ამატაკის შვილი<sup>7)</sup> სენხიამ: ესენი დაეკაზმნეს ხუთასამდი კაცი, და წამოვიდეს, და ორთვალთ კიდს გამოვიდეს: ბორგს მივიდეს:

იქ ფანასკერტელი იობის შვილი ჯიქასონ გვერდს იახლა, სუბარს შეესწრა კაცსა, თუ გულმართლა ბატონებზე თავ დასისხმულად და დასაკოცად მიდიანო: იარა და აცნობა უგუბოს<sup>8)</sup> დოქენჯის შვილს ეანდურადის, თუ გულმართლათ<sup>9)</sup> ბატონის შვილებს დაკოცენ, ფიცხლა აცნობე, წარმოვიდა ეანდურალი და აცნობა ბატონებსა, ქათამს უეიფლა: ადგეს ბატონები, და ვინც იყო დაეკაზმეს, ოცამდი შეეკაზმული კაცი იყო, ბარგი აჭვიდეს, დიდხან იქივ იბრუნეს, და არ მოვიდეს: უკომდგეს რკერათ თავს სიმეგრესა, ივნისს: ლ:

შაბათს დღეს განთიადს დაესხნეს ნასადგომევესა, სხვა აღარა დახვდათ რა, თუხარლიანთ კარავი და ბარგი დახვდა, და ის დაიფორაქეს, ჯორები კიდევ მოსცეს, ჩვენი და მათი კაცი გარდაიკიდნეს, ერთი მოკლეს, და ერთი კელთ დაიჭირეს ჩვენთა, წაკიდეს გაწიბლებულნი, ეკვება, არ გაგვისწრობდეს<sup>10)</sup>, თავებს დავსჭრიდით, და

590

<sup>1)</sup> წინა შენიშვნიდან აქამდის ტექსტი არ ეკუთვნის მესხური და ვითნის ქრონიკას, თუმცა ამას ქვემოთ შეუწყვეტილ მოყვანილია ტექსტი მესხური და ვითნის ქრონიკისა.

<sup>2)</sup> უნდა იყოს: შედიანის შვილმა.

<sup>3)</sup> ქარ. ცხ—ში: თანხად მესხური და ვითნისა: ბიძასა.

<sup>4)</sup> უნდა იყოს: შერმაზან.

<sup>5)</sup> უნდა იყოს შვილის. ქარ. ცხ—ში შეცდომით სწერია: ვაჟი.

<sup>6)</sup> უნდა იყოს მესხური და ვითნის მიხედვით: ვაჟი.

<sup>7)</sup> მესხურ და ვითნში: უიუბოს.

<sup>8)</sup> უნდა იყოს: გულმართლა.

<sup>9)</sup> უნდა იყოს: გაუღმართლა.

შვედარს ასო-ასო ავიქმოდით, და ეს გვექნა თუ<sup>1)</sup> მარტვილებსაც არ გაუშვებდით ცოცხალს: დაეარდა კმა, დაიწყო წვენმა ლაშქარმა მოდენა, გაემართნეს ჰატრონი უვარუვარე და ჰატრონი მანუჩარ და ერეკლე სახელსა ზედა ღისისა, და მივედით ზედა თმოგვს, და თმოგვის ქალაქი მოვარბეთ, და იგივე<sup>2)</sup> ზედა თმოგვს ამოვედით: და ჰატრონი დედა მათი დედის იმედ უოფილი დებოდა იქ მოვიდა: და ორშაბათს ვანის ქვაბს მოვადგეთ, და ოთხშაბათს<sup>3)</sup> იერიშით ადვიდედით, და ჰარასკეგს დღეს ავიუარენით, ჩაუდგეთ, რჩეუდინი შემოვიწვევებით, კვირას დღეს ოლაღის ქვაბი ავიდეთ, ამოვედით, კარწახს დავდგეთ ივლისს ით: დღესა ხუთშაბათსა<sup>4)</sup>:

ქკს, სჲდ<sup>5)</sup>: ერეკლე შევკაზმეთ მუხრანის ბატონის არჩილის შვილი<sup>6)</sup>, წლისა ივ: სამის თვისა და სამის კვრისა: მიუკედით ფოსოს, სახლი დავწვით და ამოვსწვევდეთ: გაუზახეთ ლაშქარი, დარღვეულთ უიზანი<sup>7)</sup> და ალაში<sup>8)</sup> გამოვიდეთ, და მოვედით და ჰალაკციოს დავდგეთ: იქიდანა თეთრ ციხის გარეშემო დავწვით ალაბუტი და კამბურჯანი<sup>9)</sup>: შაჰსთან ელჩი გაგვზავნეთ, და ამავე თვეს ივლისს, კზ: დღესა შაბათსა, შალიკაშვილის ზემბადის შუღამა<sup>10)</sup>, მათივ ნაქონები ოლთის ციხე წაართვა<sup>11)</sup>, ჩვენ თათარნი შუა შემოვიდეს, გამოუდგეთ, წამოვედით მგელციხეს, შერანშაიან წყაროზე დავდგეთ: და მერმე აწუურს წავედით:

ამავე ქკსა, აგვისტოს ოცდა თერთმეტსა, ვარნეტის<sup>12)</sup> ციხეს უდალატეს მგელციხიდანა, და ენკენისთვის ოთხსა დასამიძემა დემოთის სადალატოდ აზნაურისშვილები და მსახურები გაგზავნა, და ვეღარ უდალატეს: და ჩვიდმეტი კელთ დარჩა საჯარს შალვა შვილს<sup>12)</sup>

<sup>1)</sup> ეს სიტყვა არ არის მესხურ დავითნში.

<sup>2)</sup> უნდა იყოს: იქვე.

<sup>3)</sup> ქარ. ცხ—ში შეცდომით სწერია: ორშაბათს.

<sup>4)</sup> ეს სიტყვა არ არის ქარ. ცხ—ში.

<sup>5)</sup> უკანასკნელი ოთხი სიტყვა არ ეკუთვნის მესხურ დავითნს.

<sup>6)</sup> უნდა იყოს: ხიზანი.

<sup>7)</sup> უნდა იყოს: ალაფი.

<sup>8)</sup> უნდა იყოს: ალბუტი და კამარჯანი.

<sup>9)</sup> აქ გამოშვებულა: და.

<sup>10)</sup> უნდა იყოს: შვილმა.

<sup>11)</sup> უნდა იყოს: ვარნეტის.

<sup>12)</sup> ქარ. ცხ—ში შეცდომით: შალიკაშვილს.

ცნისთავსა: ჰატრონი მანუჩარ და ჰატრონი ერეკლე, მათი ბიძა-  
შვილი, მგელციხეს იუუნეს, და შალკიანთ აზნაურშვილებს თავს  
დაესხნეს, აზნაურშვილები გარდაეხვეწნეს: ერეკლე მოეწია, კაცი  
ჩამაგდო, და კარგი ცხენი დარჩა, და ჩვენც მოვედით სამცხიდან, 591  
და შერა(ნ)შანთ წყაროზე დავდეგით:

ამავე ქკსა, სმდ: ივანობისთვის, კდ: ბატონი აჩილ შირა-  
ზიდან უაზმით მხარუღიფენს ცოლშვილიანად: მერმე ჩუდეგით,  
ფოსო ამოვწვიდეთ, და შაქსთან ელჩი გავგზავნეთ, უკმოვბრუნ-  
დით, სამცხეს მოვედით:

ქკს, სმე: მარტში მიგვიკდა<sup>1)</sup> კოკოლა, და აჩიის ქვაბი წა-  
გვართო, წავიდა ბატონი მანუჩარ და იმაჱ წამს წაართვა, ერეკლე  
თან ახლდა, მერმე გურგაქ უგუდგა<sup>2)</sup> კოკოლა, თავის ძმისწულსა,  
და ბატონს მანუჩარს შემოჰფიცა, ქაჯის ციხე უკმოუჭირა, მერმე  
ფიტი გაუტეხა, და კიდევ უგუდგა<sup>3)</sup> ბატონს მანუჩარს: უკმოვბრუნ-  
და ბატონი მანუჩარ, ჩუდეგით კიდევ გაზაფხულზე, ვეუბნებით და  
არ შემოგვეწვივნენ, დაურბიეთ ფოსო: ელჩი გავისტუმრეთ, და  
უკმოვბრუნდით:

ამასვე, ქკსა: სახელსა ზედა დისსა გავილაშქრეთ, ენკენის-  
თვის ნახევარს ქაჯთა ციხეს მოვადეგით: ღვინობისთვის ორს  
გურგაქ შემოგვეწვიო და ველი მოგვცა: გავბრუნდით, ურთის ციხე  
საუდარი წავართვით, კოკოლას კერძათ იუო, და ციხე დავაქციეთ,  
სიმაგრე რაც იუო დავწვიეთ, და საუდარი გაუშვით: ფოსო მოვარ-  
ბიეთ და ელჩი გაუშვით უაქნთან, მოვბრუნდით, მგელციხეს მოვე-  
დით, ბოსტოლანაშვილმა მატამა უხუცესი მისი ძმა მოკლა, ათამირმა  
ერქვა: წამოვიდა ბატონი მანუჩარ<sup>4)</sup>, მგელციხეს მოვიდა, ბატონი  
უვარუვარე, და ბატონი მანუჩარ იქ ადგეს<sup>1)</sup>, და ბატონი დედის იმე-  
დი წამოვიდა, ახალციხეს მოვიდნენ:

<sup>1)</sup> ამ სიტყვას დედანში შენიშვნა აქვს ტექსტის ხელით: „მიგვიკდა სწორია“. ქარ. ცხ—ში: მოგვიკუდა. ბარ—ში: მოგვიკდა.

<sup>2)</sup> მესხურ დავითნში: უაუადგა

<sup>3)</sup> აქ ბარ. და ქარ. ცხ—ბა თანხმად მესხური დავითნისა უმატებენ: დავიჭირა ბატონი და თვალეზი დასწვა მას და მისთან მყოფთა ყმათა, მობრუნდა ბატონი მანუჩარ.

<sup>4)</sup> უდა იუოს: დადგეს.

ქკს, სფ: გამონდა კუდინი ვარსკულავი, ოდესმე<sup>1)</sup>) მისებრი-  
ვი არავის უხილავს: ესე შაჰისმაილ იყო კაცი უწყალო, და მსმელი  
სახსლასა, ამისთვის არა ინებეს ეიზილბაშთა უფლება მისი, და ეწა-  
მებოდნენ ჰსჯულითა სუნობასა: და თვესა შეექვსესა მწამლით მოკ-  
ლეს ეიზილბაშთა შაჰისმაილ უენი, გიორგობისთვის, კგ: და მი-  
სივე ძმა შაჰხუდაბანდ გააკლმწიფეს: ესე შაჰხუდაბანდა კაცი აყო  
592 უდონო, და თვალთი ბრმა: და ვერა კეთილად წარმართა საქმე  
თვისი წესისაებრ<sup>2)</sup>):

ქრისტესშობისთვის, ლა: ბატონი უვარუვარე და ბატონი მან-  
ნუჩარ თმოგვს მოადგეს სამშაბათს დღეს: იანვარს ე, კვირას დღეს,  
ქკს, სფ, ზატონი დედის იმედი და ბატონი ბექა ვეველს მოა-  
დგეს:

ამავე იანვარს, ც, ოთხშაბათს<sup>3)</sup>), თმოგვი წაართვეს, და აქეთ  
იმავე დღეს უკელი წავართვიით: ოთხშაბათსავე<sup>4)</sup>), გიორგობისთვის ზ,  
ბატონს ერეკლეს ცხენი წამოექცა, საქმე სათუოდ გაუხდა: ასრე  
სძულად დასცა, უცხოფერს ფათერაკს მორჩა: აგრეთვე შეცამეტე  
დღეს წავიდა სანადიროდ, ქარაფის ძირს იჯდა, ჩამოკლო ქვა.  
დაცა, თითის წვერი ძელითურთ<sup>5)</sup>) მოჭკვეთა, გონჯად დაღეწა, ორს  
თკეს ძლივ გაუმთელდა, მისთვის არც თმოგვს იყო, და არც  
უკელს: შეიყრა კოკოლამა უარახანს, წამოვიდა თმოგვზე მოსაშვე-  
ლებლად, ვედარ მოესწრა, ციხე ორივ წაერთმევიანა: უკელიდამა  
თმოგვს წავიდა<sup>6)</sup>) დედის იმედი: იქიდან ბატონი მანუჩარ ჯავახეთს  
წავიდა, ფოსო და ჯავახეთი დაარბია: და გურგაქს ქაჯის ციხე  
გაუბარაქიანა: ბატონი უვარუვარე და ბატონი მანუჩარ ახალციხეს  
წამოვიდეს, და ბატონი დედისიმედი თმოგვს დადგა: თმოგვის ცი-  
ხე<sup>7)</sup>) რაც დახირა<sup>8)</sup>) უნდოდა, მიატანინა<sup>9)</sup>), გააბარაქიანა: და თვალშენი-

1) ქარ. ცხ—ში: ოდეს.

2) ეს პარაგრაფი მესხურ დავითნს არ ეკუთვნის. შაისხილის სიკვდილის ამბავი სხვა რიგით იხსენიება მესხურ დავითნში. (ნახე სამი ზრონიკა, გვ. 94).

3) ქარ. ცხ—ში შეცდომით სწერია: ორშაბათს.

4) ქარ. ცხ—ში: ორშაბათს.

5) ქარ. ცხ—ში: ძალითურთ, უნდა იყოს: ძლითურთ, როგორც ბარ—შია.

6) აქ გამოშვებულია ბატონი.

7) უნდა იყოს: ციხესა.

8) ბარ—ში: ზახირა.

9) ამ სიტყვას დედანში ამოიხე შენიშვნა აქვს ტექსტის ხელის: „მატანი მონია“.

რთან უღბი გაგზავნა: ციხეების შოვნა შესთვალა, და ურუმთ აშლა  
 აცნობა: და ურუმთ საჩქარო კმა დაუფარდა, ჰატრონი დედისიმედი  
 ახალციხეს შვილებთან მოვიდა: ჰატრონმა მანუჩარ და ჰატრონმა ერეკ-  
 ლემ ლაშქარი შეიყარეს, წავიდეს და ურუმთ პირს მიუდგეს: ჰატრონი  
 უვარუვარე ცოტად უგუნებოდ იყო, ის ვედარ წავიდა, ზღუდეთს<sup>1)</sup>  
 ჩავედით: ამასობაში ოთმანიანი რვა ათასი კაცი თებერვალს, კა:  
 ოთხშაბათს დღესა დაესხნეს ურახანს, გაუდრკა საილათოდ, წაუდ-  
 გეს ურუმნი, და ათიოდე კაცი მოუკლეს: მობრუნდეს, გორი დაუ-  
 წვეს, და იმავე საჩიშატში დადგეს: მობრუნდა ურახანს, ექვსასი კა-  
 ცი ახლდა, დაესხა თავსა, ამოსწევინა ურუმნი, და გააქცივნა სა-  
 ხელსა ზედა დისასა, გაემარჯვა ურახანს, და აღიუსნეს საქონლი- 593  
 თა და იარაღითა: მობრუნდა ბატონი მანუჩარ, და აწუურს ჩამოვიდა:

ამასვე ქვსა, გამოვიდა ჯარი ხვანთქრისა, და დაიპყრეს თავ-  
 რიზი, ერეკანი, განჯა, ურახადი, ვიდრე სულთანამდე, და უოვე-  
 ლივე ადგილი ადარბადაგანისა<sup>2)</sup>:

ამასვე ქვსა, მასისა, კა: დღესა ოთხშაბათსა, წარვიდა მუხრან-  
 ნის ბატონის არჩილის შვილი<sup>3)</sup> ერეკლე სურამს ნესტან დარეჯან<sup>4)</sup>  
 ქართლის დედოფალთანა: დედოფალი დარბადა იყო, მისთან სამყო-  
 ფად ჩავიდა:

ამასვე ქვს მიიცვალა აფხაზეთის კ<sup>5)</sup> ევდემონ ჩხეტის ძე:

ამასვე ქვს, მიიცვალა მეფეთ მეფის გიორგის შვილი ბაგ-  
 რატ, ოვსა მასისა კბ: და დედა მათი შარვაშიძის ქალი დედო-  
 ფალი რუსუდან მიიცვალა აგვისტოს დ<sup>6)</sup>:

ამასვე ქვს, მარამობისთვის ზ, ხუთშაბათს დღეს, ხვანთქრის  
 ლაშქარი და ლაღა ფაშა მგელციხეს მოადგეს, შეიბნეს, სამშაბა-  
 თამდის უოველთ დღეთ ომში იყვნეს, ციხიანი გოგორის შვილი რინი  
 და მისი ძმა ბერი, ერუმნელი, და მისი ძმისწული ზურაბ იყვნეს  
 მათის უმითა, და დ<sup>7)</sup>ისშეწევინთ უკუეუარნეს, და ციხე ჩვენვე

1) უნდა იყოს: ზღუდერს.

2) ეს პარაგრაფი მესხურ დავითნს არ ეკუთვნის.

3) მესხურ დავითნში ამ ოთხი სიტყვის მაგიერ: პატრონი:

4) ეს ორი სიტყვა მესხურ დავითნში არ არის.

5) ეს ორი პარაგრაფი მესხურ დავითნს არ ეკუთვნის.

დაგვრჩა, ჩვენთა გაუმორჯვია: ჰარასკეკს დღესა 6, მარიამობისთვის, ქაჯის ციხე, ველი და თეთრი ციხე წაგვართვეს ურუმთა: და ქაჯის ციხის მეციხოვნენა ს'დ შემოეკოცნეს: და თ შაბათს დიღასა (ქერძანას<sup>1)</sup>) და წინწაღს შუა აზრუმისა და ვანის ფაშა მკვიდეს, და სულთანნი და ვარახან ბაზუქლუ, კიდევ მუღანლუს<sup>2)</sup> ბატონი იქ შეიყარნეს: მაჰმადი, სულთან გორახე წამოდგა: მისი ვინც იყო, გვერდს მოიყენა: და სხვა ბატონები შეებნეს ურუმთა, მ'დ გაიმარჯვეს უიზილობათა: და მერმე ურუმნი მოერივნეს და გაიმარჯვეს, მაჰმადი სულთან გამთაქცია, გარდაეხეკა: იმაჳ კვირასათსა, მარიამობისთვისა, ჰატონი მანუჩარ ქაჯის ციხეს შეეყარა, ვერც<sup>3)</sup> ლაშქრის ომსა და ვერც ციხეების აღებასა ვერ მიესწრა: ამილახორის შვილი ქოიარ მიეგება არტანს: და ორი ციხე მას შესძღვნა ლაღა ფაშასა, მარიამობისთვის ორსა:

544 აგრევე ართაქსად ჰბირებოდა ექვსით ციხითა მას წინათ: და ხერთვისი და სუთი ციხე მას შეეძღვნა, და ჰატონს მანუჩარს თან მიჰყვა: იმ წაშს გამოჰგვარეს, ციხეები გამოართვეს და ხახული სასანჯახოდ მისცეს: ჰატონმა მანუჩარ, იზ იმაჳ თუესა, თმოგვის ციხე მისცა ლაღა ფაშასა: ახალქალაქი უწინ წაართვეს, კოკოლას მეციხოვნე იდგა, და იქიღამ მისცა თმოგვი: გაიარეს, წავადეს ტფილისის ქალაქზე, ის დაუთხან დაწუა და<sup>4)</sup> გაცტალა, ლორეს ჩავიდა: ტფილისს ჩავიდა<sup>5)</sup>, ფაშა დასვეს, და გორს სანჯახი:

დაუთხან ხვანთქართან წავიდა, და იქ დიდი ჰატონი მიაშურეს, ორი ხათაშაო სარჩოდ გაუჩინეს, და თვითან კარზედ შეინახეს, და მისნი ორნი შვილნი, ბაგრატ და ხოსროვ, მამას არ გაჰყვნენ: კახი ბატონის სიძე იყო ბატონი ბაგრატ, სიმამრისას დადგა: და უმცროსი მას ხოსროვ მირზა ისიც ძმასიან დადგა, და ბოლოს უაენის კარზე ჩავიდნენ<sup>6)</sup>:

როდესაც ტფილისს ფაშა დასვეს და გორს სანჯახი, მუხ-

<sup>1)</sup> მესხურ დავითნში: ძურძანასა.

<sup>2)</sup> მესხურ დავითნში: მულალუს.

<sup>3)</sup> ეს სიტყვა არ არის ქარ. ცხ—ში:

<sup>4)</sup> ჩვენს დედანში ამ ორი სიტყვის მაგიერ სწერია: იქიღამ.

<sup>5)</sup> ბარ—ში: ჩავიდნენ ურუმნი.

<sup>6)</sup> ეს მარაგრაფი მესხურ დავითნს არ ეკუთვნის.

რანის ბატონის შვილი<sup>1)</sup> ჰატრონი ვახტანგ, ერისთავი ელისბარ და ამილახორი ბარდიმ ერთად შეიყარნენ: ლალა ფაშა ლაშქარი გააძახა<sup>2)</sup> დედოფალსა და ს-დ ქართლსა, ესენი მავიდეს, და ამათის წყალობითა ლაშქარი დაბრუნეს: თეში აღარ ამოსწედა, მათ-მათი მამული მისცეს, ოთხი დღე არ დაყოფინეს, და დაბრუნეს, მათს მამულში მოვიდეს, სომხითართ ბევრი აწეინეს, ლაშქარი გამოეშურა<sup>3)</sup> ლალა ფაშას: ამოიარეს ქართლს, დაუდგეს იმერელნი წინა, და მწკედ ამოსწევადეს: მეორედ ერეკლე დაემწევიდა შიგა ომში ჰატრონის არხილის შვილი, და მას გაემარჯვა, უცხო ფერად შებმულაუო: ცხენი ქვეშ გამოეკლათ მისთვის, თექვსმეტი მუზარადს ჰქონდა ნაკრავი, ისარი ორმოცამედი, და ვერც ჯაჭვი და ვერც მუზარადი ვერ გაეკვეთა, ერთი კმალი ხანჯარს ჰსცემოდა, ხანჯრის ტარი ზედ დაეჭრა: ექვსი აზნაურის შვილი მძიმედ დაუჭრეს, დაუკოდეს, გამარჯვება ერეკლეს დარჩა, გამოაქციეს თათარნი, უფროსი ერთ(ნი) დაკოცეს და ამოსწევადეს: ენკენისთვის ერთს იმერელნი შეიბნენ და გაიმარჯვეს, და ქართველნი და ერეკლე ენკენისთვის ი შეიბნეს და სრულიად ამოსწევადეს:

695

ორავუანდას შვილი მოვიდა, და ლალაფაშასთან ჰატრონს მანუჩარს ის მიუძღვა, ახალქალაქიღამ ფაშა და ჰატრონი მანუჩარ ქართლს წავიდეს: ორავუანდას შვილი ქაიხოსრო აქათ გამოეგზავნა:

ქკს, სჲვ, ენკენისთვის დ: ხუთშაბათს ქორწილი უყავით მასთან ჰატრონის შვილს თამარს<sup>4)</sup>, და საშინელმა აწეურისა დ'ისმობელმა და წ'ნ ნიკ'ზ ქორწილი ბედნიერად მოუყდინოს: ჭამა აკურთანში იყო თათართ შიშითა, დია ჩვენი უგუნებო ქორწილი იყო:

აგრევე კახი მეფე, ბატონის<sup>5)</sup> ლევანის შვილი, ჰატრონი ადგილსანდრე მიეგება ლალაფაშასა, სათის ჭაღას შეეყარა, და შაქისა და შარვანზე წავიდეს:

ამაზე შერამანშაშვილი მოვიდა უაენიღამა, თვალშეკენიერთან იყო, ეს ამბავი მოიტანა, მანუჩარისა ლალაფაშასთან მისვლა შე-

1) ამ ფრაზის მაგიერ მესხურ დავითანში: ჰატრონის ბაგრატიონ შვილი.

2) ბარ—ში: გაუძახა.

3) უნდა იყოს: გამოეშურა.

4) აქ მესხური დავითონის მიხედვით გამოშვებულია: სამებაშან.

5) მესხურ დავითანში: „ჰატრონის“ სწერია.



იტყო ყანმა: თვალშეენიერს კაცები გამოუგზავნა, სადგომი და-  
 აგდებინეს, და უორჩინაშს მიაბარეს, მარიაშობისთვის, კვ, ორშა.  
 ბათს დღესა, დაიჭირეს თვალშეენიერი, შირვანი დაიჭირეს, ცისკ  
 ააშენეს და ოსმან თაშა შეაყენეს მისით ლაშქრითა, და შემობრუნ-  
 დეს, ალექსანდრეს შვილი არაკვამლის მოჭევა, და დაბრუნდა, ლა-  
 ლათაშა მუხრანს დადგა. გორი გაამაგრა:

და მიესმა საქმე ესე შახუდაბანდას, მაშინ დედამან შახუ-  
 დაბანდისამან, ასულმან ოთარ შალიკაშვილისამან, მოიუკანა მეფე  
 სკიმონ, და ვა წესი არს ქართველთა დედათა, ეგრეთვე უფ ამან,  
 წარმოუგზავნა ლენაქი, საბურველი ესე დედათა მომიხვევია კმლისა  
 შენისა ხეტარსა ზედა, შენ იცი და კმალმან შენმან. და აწ მო-  
 გვიცემია შენთჲს სამეფო შენი საქართველო და სხვადა მრავალი  
 საბოძვარი, წარვედ და განამაგრე საქართველო, რათა არა წაგვიდონ  
 ოსმალითა, და იუკ თანა მწე და ერთგულ საკლემწითელთა ჩვენთა:  
 ხ მისცეს საბოძვარი ურიცხვი, და ესრეთ წარმოემართა მეფე სვა-  
 მონ<sup>1)</sup>:

და შობით მოიუკანეს ავადმყოფი: მუხრანის ბატონის ბაგრატის  
 შვილი<sup>2)</sup> არჩილ ერთის შვილითა და ბეკრი ტყვე მოასხნა<sup>3)</sup>: ღვინობის-  
 596 თვის ნახეარს მოვიდა<sup>4)</sup>, ლალათაშა ქართლსავე იდგა, მოვიდეს სომ-  
 ხითს და ლალაზარაკდეს, ავად მყოფი [იყო], მისით მიზეზით ვეღარ ნახა,  
 აიყარა ლაშქარი, ღვინობისთვის ერთსა, ჰარასკევს დღესა, მოდენა და-  
 იწყო, აწურს ვიდევით, ორშაბათს ჰატრონი მანუჩარ გამოეშვა,  
 წინათ მოვიდა, სამშაბათს ჰატრონი უვარუვარე წინ მიეგება, თვი-  
 თან ლალათაშა მოვიდა, და გადმა ლეკზე დადგა: ხუთშაბათს  
 ჰატრონი დედის იმედი გავიდა ციხიდანა, და ლალათაშა ნახა, ანგა-  
 რიში არ იქნებოდა, რაც ლაშქრისა და აქლემების ჯარი იყო: შა-  
 ბათს ცისკრისას აიყარა და წავიდა: ჰატრონი უვარუვარე თან გაჭ-  
 ევა მოტყუებით, და აღარ დაბრუნდა: ჰატრონი მანუჩარ თან წაჭევა,

<sup>1)</sup> ეს პარაგრაფი მესხურ დავითნს არ ეკუთვნის. მესხურ დავითნში სწმ-  
 რია მხოლოდ: ქართლს მეფე ჰატრონი სუიმონ ტყუპ იყო, ყანმა გამოეშვა.

<sup>2)</sup> მესხურ დავითნში უკანასკნელ ოთხი სიტყვის მაგიერ: ჰატრონი:

<sup>3)</sup> ქარ. ცხ—ში თანხმად მესხური დავითნისა: თანმოიტანა.

<sup>4)</sup> მესხური დავითნი აქ უმატებს: ყანმა ხუდაბანდა გამოეშვა.

ათს დღეს ლაშქარი ძლივ გაწმდა: სამშაბათს დღეს ამბავი მოვიდა, პატრონი ვეარუვარე აღარ დაბრუნდაო, წაუდგა პატრონი დედის იმედი, ჯაყამდის სდია, ვერ მიეწია, აზნაურისშვილები წაუყენა, ვეღარ დაბრუნა, ისევ<sup>1)</sup> დედისა და ცოლშვილის გამოუსალმებელი წავიდა: ოღთისი სსანჯახოდ მისცეს, იქი<sup>2)</sup> მივიდა: პატრონი მანუჩარ მოვიდა აწუურს:

მობრუნდა მეფე სვიმონ, გორი ოიღო, ქართლში გაძლიერდა, და ვისაც დედოფალსა და პატონის<sup>3)</sup> შვილს გიორგიზე ემტყუნნეს<sup>4)</sup>, ზოგნი მეფეს დაფითს თან გაჰყვნენ<sup>5)</sup> ურუმში და ზოგნი იმერეთსა და კახეთს გარდაიხვეწნეს: და ქსნის ერისთვის მამული ზოგი პატონს ნესტან დარეჯანს დედოფალს საუპატოდ მისცეს: და ზოგი პატონისშვილს მისცეს: და ამილახორის კასში სვეტს ცხოველს შუქწირეს, და აზნაურშიღნი სსანჯახოდ დაიჭირა, და გორის მოურაობა სულხან თურმანისძეს მისცა<sup>6)</sup>:

მუხრანის პატონისშვილი, მუხრანის პატონი<sup>1)</sup> ვახტანგ, ტაძრად მიუვანებას დღეს კელთ დაიჭირა პატრონმა სვიმონ მეფემ, და კეხვის ციხეში ტყვედ ჩააკდო: ლაღათაშს ლაშქარი და მირდალი<sup>2)</sup> გამოეკზავნა პატრონს მანუჩართანა, ქართლს გაეძახა, ქართლს ვერ ჩაუგდეს, სადგერს დადგეს, და ამოსწვიდეს სადგერი, წმიდის გიორგის განძი წაკდა: მეორედ კიდევ სანჯახები გამოეკზავნა, შეიყურა პატრონი მანუჩარ, ჩაუკდა, და ზემო ქართლი დაერბოვა: მოვიდა კაცი პატრონს ვეარუვარეს, ოღთისის აღარ დააყენეს, აზრუმს 597 მიიყუანეს, შობის წინა დღეს წაიყუანეს:

მოუკდა შაის ხუდაბანდის ცოლი ბეგუმ შირვანსა, შეიბნეს, ამოსწვიდეს ლაშქარნი, ციხე დაწვეს, დააქციეს, ხაზინა უველა კელთ დარჩა: თათარხანი კელთ დაიჭირეს, უაზმითს ტყვედ წაიყვა-

<sup>1)</sup> მესხურ დავითნში: ისრე.

<sup>2)</sup> უნდა იყოს: იქ.

<sup>3)</sup> ქარ. ცხ--ში: პატრონის.

<sup>4)</sup> ქარ. ცხ--ში: იმტყუნეს.

<sup>5)</sup> ქარ. ცხ--ში: თან წაყვნენ.

<sup>6)</sup> ეს პარაგრაფი მესხურ დავითნში არ არის.

<sup>7)</sup> მესხურ დავითნში ამ ოთხი სიტყვის მაგიერ: პატრონის დედის იმედის ში პატრონი ვახტანგ.

<sup>8)</sup> ქარ. ცხ--ში შეცდომით: მირშაალი, ბარ--ში: მიძაალი.

ნეს, მოკრიპნეს ეიზიღბაშნი, ოსმან ფაშა დემურეაფს უკურჩა: წავიდა<sup>1)</sup> ეაზმინს ბეკუმ: ღაიჭირა<sup>2)</sup> ბეკუმ გამარჯვებული კელთა, ისიც მოკლეს და თათარს იცა, უკენმა დააკოცინა:

უენი შაჰხუდაბანდ ცოლის სიკვდილს უკან ეიზიღბაშთ დანაკრეს, და აღრბეკანი და შირვანი ურუმთ დაიჭირეს: განჯის ხანი, შაჰვერდი სულთანს, კახეთს მივიდა, და ბატონს ალექსანდრეს შეეკეწა: ამან შეხვეწილი კაცი დააჭირვინა, და ხონთქარს გაუცხანა<sup>3)</sup>:

ქკს, სჰზ: მარტს კტ<sup>4)</sup>: შატრონი უვარეუარე და შატრონი მანუჩარ კოსტანტინოპოლის წავიდა აზრუმიდამა: აზრილს კ: ორშაბათს გადადგეს<sup>5)</sup>: მასუკან მოვიდა ამბავი, ბატონი თვალშეშენიერი მარიაშობისთვის ოცდა სამს კელთ დაიჭირეს: ღვინობისთვის, ა: ორშაბათს დღესა, აღამუტის ციხეში ტუვედ წაიყვანეს: ჟამი შექნა<sup>6)</sup>, მაისს ღა: შაბათს სადამოსა ხოსიტა გააცხელა სკანათეს, შატრონი უვარეუარეს შვილი, ღის შეწეკნით გარდაიკადა: ივნისს, ით, ბატონი ბეკა გააცხელა, და ღის შეწეკნით მანტ გარდ(ა)იხადა: ბევრი გააცხელა ჩვენში, და არავის რა დაუზიანდა: მეორედ მოვიდა ღაღაფაშა, და კარი აღშენა, ტფილისის ქალაქს ღაშქარი გაგზავნა. და ნუზლი შეუტანინა: მარიაშობისთვის კვ: შატრონი დედის იმედი გააცხელა ხეთშაბათს დღესა: და ორშაბათს დღესა ბერის შატრონის ბასილისა ჟამით გაცხელება მოვიდა, და სოფარას საბურთაზე გაცხელებინა: იმ წამს წაბძანდა შატრონი დედის იმედი, ორნი დედა შვილნი ერთს კვრაში<sup>7)</sup> დაწვნეს: ენკენისთვის გ, შარასკევი განთენდებოდა, ღთი განჭკრისხდა, ბატონი ბასილი მიიფცაღა იუ წლასა, და კბ დღისა, ღამით ჟამსა, ბ: და წამოვიდა შატრონი დედის იმედი მობითა, ზღუდერს ჩამოვიდა, და ღვინობისთვის უსკუდარადამ შატრონის შვილების გამომშვების მახარებელი მოვიდა:

1) დედანში სწერია: ყავიდა.

2) მესხურ დავითნში: დაიჭირეს.

3) ეს პარაგრაფი მესხურ დავითნს არ ეკუთვნის.

4) აქ აკლია მესხურ დავითნის მიხედვით: შატრონი მანუჩარ აზრუმს წავიდა.

5) უნდა იყოს: გადგეს, როგორც მესხურ დავითნშია და ბარ—ში.

6) უნდა იყოს: შექნა.

7) უნდა იყოს: კარავში, როგორც მესხურ დავითნშია:

